საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციონერო პარტია

№ 224 ოთხშაბათი, 1 მაისი 1918 წ. № 224

სახალხო საქმე

28

მთავარი კომიტეტის ორგანო

ბაქოში ბოლშევიკები დაამარცხეს: 30000 კაცმა იარაღი დაჰყარა.—თერგის მთავრობა იტყობინება, რომ ჩრდილოეთ კავკასიას დამოუკიდებლობა არ გამოუცხადებია და ის რუსეთის რესპუბლიკის ნაწილია.—შესდგა კომისია ამ.-კავკ. ფედერატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის შესამუშავებლად.—გერმანიის ჯარმა სიმფეროპოლი აიღო.—კრონშტატის ნავსადგურში გერმანელთა გემები გამოჩნდა.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მან., 20×2 ღირს 15 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში“ (ქ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა“) ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, ხახანოვის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме“, поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე“ ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის“ რედაქციას.

ქართული კლუბი

ხუთშაბათს 19 აპრილს (2 მაისი)

ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთაგან ეფ. მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება ერისთავ-ხოშტარიას რომანიდან გადმოკეთებული ვ. გარრიკის მიერ

მოლიპულ გზაზე

5 მოქ. და 9 სურათათ. ეპილოგით.

მონაწილეობენ ქალნი: ანდრონიკაშვილი ე. მესხი, ივერიელი ა., კავთელი ა., ჩერქეზიშვილი ე., ჯავახიშვილი ნ., ვაჟნი: ბარველი ვ., გელოვანი მ., მაჭავარიძე ვ., კობახიძე ი., თარალაშვილი ი., სარაული მ., ფრანგიშვილი პ.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 1151 დასაწყისი სად. 8½ ს.

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 19—00

დღეს, 1 მაისს გაიმართება

დიდი ბენეფისი

კომიკოსებისა. მონაწილეობენ ვინჩენკო. და სხვები. დღეს პირველად კონცერტი, იტალ. ოპერა სალტიდან. დღეს ბრძოლა მისი მსოფლიო ფალავანისა პოდდუბნისა და ზბიშკოსი. გამარჯვებულს საჩუქრად შარფი. 149

ტფილისის საქალაქო მილიციის უფროსის განცხადება

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით კერძო ავტომობილების პატრონები, რომელნიც ტფილისიდან კავკავში დადიან და წინაუკმო, ვალდებული არიან ყოველთვის გამგზავრების წინ წაიღონ ტფილისის ფოსტიდან ტომარა წერილებით და გაზეთებით კავკავის ფოსტაში მისატანად.

ის ავტომობილები, რომელნიც არ ემორჩილებიან ამ განკარგულებას, არ იქმნებიან გაშვებული საქართველოს სამხედრო გზით. ასევე მოეპყრობიან კავკავიდან მომავალ ავტომობილებს.

ავტომობილისათვის გადასაცემი ტომარა ტფილისის საფოსტო სადგურის პირდაპირ იქნება, ოლღას ქუჩაზე.

თუ იმ ავტომობილების შემდეგ, რომელნიც კორესპონდენციას წაიღებენ, იმავე დღეს სხვა ავტომობილები გაემგზავრებიან კავკავში, უკანასკნელებს დაუბრკოლებლივ გაუშვებენ.

ეს დადგენილება უთუოდ უნდა იქმნეს შესრულებული 15 აპრილიდან.

მილიციის უფროსის მაგივრად პავლიევი. 1146

სააღდგომოდ გამოვა ჟურნალ

„პრომეთეს“

მე-3 ნომერი, შემდეგი შინაარსით:

1. აკაკი პაპავა—„სოლეილდორ“, 2. ი. გრიშაშვილი—ლექსი; 3. კოწია გამსახურდია—ორი სონეტი (1. გრაფ ცეპელინს, 2. ემილ ვერჰარენს), 4. ვ. ბარნოვი—ამქრის [illegible], 5. გ. ახვლედიანი—დასაბამი ნივთთა (რიგვედიდან), 6. ქ. ჭიჭინაძე—ნარზანის სამეფოში, 7. ს. წვეილი—თოლიკო, 8. ექვთიმე თაყაიშვილი—ოყურეშის ეკლესია და მასში დაცული ნივთები, 9. დ. უზნაძე—ორგანიული მსოფლმხედველობა, 10. ვარლამ ჩერქეზიშვილი—საქართველოს პეტიცია ჰააგის კონფერენციისადმი 1907 წ.

ჟურნალი ეღირება 4 მანეთი ხელზე მყიდველებისათვის. ჟურნალის ყიდვა შეიძლება ტფილისში და პროვინციებში „განათლების სააგენტოებში“ ისიდორე კვიცარიძესთან. პრომეთეს და სახალხო საქმის კონტორაში.

1090 სარედაქციო კოლეგია.

კვირას 29 აპრილს (ახ. სტ. 12 მაისს), დღის 12 საათზე,

ახალი კლუბის დარბაზში დანიშნულია

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების რწმუნებულთა საზოგადო კრება

განსახილველი საგნები:

1. 1916—1917 წლების საზოგადოების გამგეობის მოქმედების ანგარიში (§ 18).
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. მთავარი გამგეობის მოხსენება საზოგადოების სამოქმედო გეგმის შესახებ.
4. 1918 წლ. ხარჯთ-აღრიცხვა.
5. მთავარი გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა (§§ 17,31).
6. სასკოლო, ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობი, წიგნების გამომცემელი და სამუზეუმო სექციათა არჩევნები.

საზოგადო კრებას ესწრებიან განყოფილებათა რწმუნებულები (თანახმად წესდების მე-15 მუხლისა).

რწმუნებულებს მიეცემათ კრებაზე შესასვლელი ბილეთები.

პროვინციებიდან ჩამოსულმა რწმუნებულებმა უნდა წარმოადგინონ სათანადო საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი ნამდვილად არჩეულნი არიან რწმუნებულებად. 1147

ტფილისი, 1 მაისი 1918 წ.

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და საზოგადოებრივი აზრი. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება ელვასავით მოხვდა გულში ჩვენი ქვეყნის მტრებს. ახმაურდნენ ყველა ჯურის კონტრრევოლიუციონერები, რომელთაც ზურგს უმაგრებდნენ სოციალისტურ ქურქში გახვეული რუსის მოხელენი და ძველი წესწყობილების მომხრენი. მათ რევოლიუციონური კორიანტელი ასტეხეს და ესურდათ სათანადო სულიერი განწყობილება შეექმნათ სარევოლიუციო ორგანიზაციების ასამოძრავებლად დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ეგრედ წოდებულმა „ცენტრმა“ უკვე გამოიტანა რეზოლიუცია და მხარი დაუჭირა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას. ამ რიგად ის უკანასკნელი ორგანიზაცია, რომელზედაც დიდს იმედებს ამყარებდნენ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის მტრები, სეიმის გადაწყვეტილებას მიემხრო. ამისდა მიუხედავად, „ცენტრის“ ორგანო მაინც განაგრძობს ძველებურ კილოზე წერას, თითქოს იგი ვალდებული არ იყოს „ცენტრის“ გადაწყვეტილების და მიხედვით გაეშუქოს მოვლენა. მართალია ამ გაზეთის კილო ძველებური მებრძოლი აღარ არის, მაგრამ მაინც ოპოზიციაში უდგას არა მარტო სეიმს, არამედ იმ ორგანიზაციასაც რომლის ორგანოდაც ითვლება.

საზოგადოებრივი აზრი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის სასარგებლოდ იცვლება აგრეთვე სოციალისტ-რევოლიუციონერთა წრეებშიაც. „ზნამია ტრუდას“ წმინდა ხულიგანურმა კილომ აღშფოთება გამოიწვია სოციალისტ-რევოლიუციონერთა წრეებში და როგორც დანამდვილებით გვიმტკიცებენ მათ განზრახვა აქვთ გამოსცენ რუსული გაზეთი იმ მოწამლული ატმოსფერის გასაფანტავად, რომელიც „ზნამია ტრუდამ“ შექმნა.

ამ რიგად საზოგადოებრივი აზრი [illegible] და კილო კონტრრევოლიუციონური ელემენტებისა შეიცვალა. თანდათან [illegible] ღრიანცელის ადგილს იჭერს დამშვიდებული კილო მდგომარეობის შეფასებისა და აწონდაწონვისა.

მაგრამ ამით არა თავდება ყველაფერი. თუ ერთის მხრით ასალაგმავია შინაური მტრები, მეორეს მხრით სერიოზული ანგარიში უნდა გაეწიოს საგარეო პოლიტიკას. ჩვენ ერთის წუთსაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საერთაშორისო ომის პროცესიდან გამოსვლა და მშვიდობიანი მყუდრო ცხოვრების დამყარება მაშინ, როდესაც მთელს ქვეყანაში ისევ ისმის ზარბაზნების გრიალი, არც ისე ადვილია, როგორც ერთის შეხედვით ეჩვენება ადამიანს. უეჭველია ბევრი სახელმწიფო მოისურვებს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა. ამ განზრახვას ჩვენ წინ უნდა დავუყენოთ და დავუპირისპიროთ ძლიერი ნების ყოფა ამიერკავკასიის ერებისა. ეს კი მოხერხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შინაგანი ძლიერება გვექნება, როდესაც ყველა ერთის აზრით გავმსჭვალებით და შევქმნით რეალურ ძალას, რომელსაც დაეყრდნობა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა.

პირველი მაისი. პირველი მაისი—მუშათა დღესასწაული. იგი ის დღეა, რომელიც მუშათა კლასში ამტკიცებს ბრწყინვალე იდეალებს სოციალიზმისას და შრომის გასაზოგადოებრივებისას. დღეს, როდესაც ერთის მხრით საშინელი ომი ანადგურებს მრავალ წელთა შრომით შექმნილ კულტურულ ღირებულებებს და მეორეს მხრით ათასი ვიგინდარა, ამოფარებული სოციალიზმის წითელი დროშას ქვეშ, ბნელ საქმეებს აკეთებს,—ამისთანა პირობებში შეგნებული პროლეტარიატის ვალია კვლავ იდეიური ბრძოლის სიმაღლემდე აიყვანოს შეგინებული დროშა სოციალიზმისა და დაირაზმოს კლასიური, ორგანიზაციული ბრძოლისთვის სოციალიზმის გასამარჯვებლად.

მხოლოდ პროლეტარიატის შეგნებას შეუძლიან მწყობრი წინსვლა შრომის საუფლოსკენ. მხოლოდ მშრომელი ხალხის მტკიცე კლასიურ ორგანიზაციას შეუძლიანთ თავიდან აიცილონ მუშათა კლასის ანარქისტული ექსპერიმენტები და ბრძოლა სოციალიზმის დასამყარებლად დააყენოს კლასიურ ნიადაგზე.

პირველი მაისი არის დღე მშრომელთა, დღე სოციალიზმის ბრწყინვალე იდეალებისა.

იგი არის სიმბოლო ყოველგვარი მონობისა, ჩაგვრისა და ბარბაროსობის მოსპობისა, იგი არის იმედი და სასოება მომავალი კაცობრიობისა, სადაც გამეფდება [illegible] შრომა და თავისუფლება.

ამხანაგებო

პირველი მაისის დღე—სოციალიზმის დღესასწაულია. პირველ მაისს, მომავალი სოციალიზმი დიდი ღირსებით ამჟღავნებს მშრომელ ხალხის წმინდა სულის-კვეთებას. პირველ მაისს ყველა ერის მშრომელი ნაწილი უხმობს ერთი მეორეს. ხელს უწვდის შესაკავშირებლად, რომ დღევანდელ ბოროტ ცხოვრების ნანგრევებზე დაადგინონ სიმართლის და თანასწორობის დიდი ტაძარი.

ამ დღეს გამოსული მუშათა ლაშქარი სულ პირველად 8 საათის სამუშაო დღეს მოითხოვდა. მოითხოვეს კიდეც. მაგრამ ვერაგ მექარხნეების და კაპიტალისტების სისხლიან ხელმა არ მისცა გზა ადამიანურ სიცოცხლის მაძიებელთ. ოქროს მეფენი ვით მოითმენდნენ მონათა ამბოხებას და რკინით და სისხლით შეეცადნენ აზრის სიკვდილს, მაგრამ მოსტყუვდნენ. იმ ადგილას, სადაც დაინთხა პირველ გმირთა უმანკო სისხლი, იქ იჭედება სასტიკი ხმალი, ბურჟუაზიის მდიდარ სხეულის გამკვეთი—გამანადგურებელი. ამის მაჩვენებელია დღითი დღე მოზარდი მშრომელთა ლაშქარი, რომელიც სახე-მხიარულად დასდგომია განთავისუფლების გზას და მიდის ზვიადად ცხოვრების დასაპყრობად.

გაუმარჯოს მშრომელთა ძლევამოსილ მსვლელობას!

ამხანაგებო! მუშა ხალხის ცხოვრების ამაყ პროგრამაში შრომის განთავისუფლება სწერია. ისტორიის უკუღმართ ტრიალმა ბუნების მდიდარ სუფრაზე მხოლოდ ზოგიერთს მისთავაზა საპატიო ადგილი. დიდი უმრავლესობა კი მონა-მსახურებად მიუჩინა, რომ აუტანელ შრომით ენებივრებინათ ულირსად რჩეულნი. მაგრამ მონაში შეგნებულმა მოქალაქემ გაიღვიძა და უკუღმართ ცხოვრებას ღერძს უბრუნებს. ძველად მონამ, დღეს კი შეგნებულმა მოქალაქემ გაიგო, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელია. მიხვდა, რომ ნაშრომი იმას ეკუთვნის, ვინც მის შექმნაში დაიკოჟრა დაუღალავი ხელები. და გადასწყვიტა, ბოლო მოუღოს ამ ისტორიულ თავხედობას. ცხოვრების ზეიმში მხოლოდ მას შეუძლიან მიიღოს მონაწილეობა, ვინც ამ ცხოვრების შექმნას სწირავს თავის ძალ-ღონეს, ვინც თავის ოფლით რწყავს ადამიანთა კეთილდღეობის საკურთხეველს. და იმ ნანატრ დროს, როდესაც მშრომელი ხალხი დაამსხვრევს ამ ქონებრივ უთანასწორობის ბორკილებს,—როდესაც დაინგრევა კერძო საკუთრების ძლევით ტაძარი, როდესაც ყველანი თანასწორად წარსდგებიან შრომის სასუფეველში და თანასწორადვე გაინაწილებენ ბუნების სიმდიდრეს და ადამიანის მონაგარს, აი იმ ნანატრ დროს სოციალიზმი ეწოდება.

მაშ გაუმარჯოს სოციალიზმს.

ამხანაგებო! საქართველოს და ამიერკავკასიის მშრომელ ხალხს გართულებულ პირობებში უხვდება ამ ბრწყინვალე დღის დღესასწაულობა.

ირგვლივ მტრითა ვართ შემოსალტულნი, რომელნიც შხამიან ისრებს უზადებენ ჩვენს თავისუფლებას. მაგრამ ამ ისრებმა ჯერ ჩვენი გული უნდა გაჰგმიროს, რადგან თავისუფლება ჩვენ გულის სიღრმეში გვაქვს ჩანერგილი. მხოლოდ ჩვენი სიკვდილით შეუძლიანთ ჩვენი თავისუფლების მოკვლა, სხვა გზით მას ვერ მიუდგებიან. პოლიტიკური თავისუფლება სოციალიზმის აუცილებელი პირობაა. ეს ჩვენ კარგად ვიცით, და მიტომაც ყოველი ღონის ძიებით ვცდილობთ ამ თავისუფლების გადარჩენას. თვით რუსეთიდან გამოყოფასაც არ დავერიდეთ, რადგან ჩვენი თავისუფლების საფრთხე იქით მხრიდანაც დავინახეთ.

რუსეთის დიდი რევოლიუცია მარცხით თავდება და მოსალოდნელია, რომ ხვალ ისევ ძველმა შავმა რაზმმა გაინავარდოს რევოლიუციის წითელ ნაალაგევზე. ეს კი ჩვენს ნორჩ თავისუფლებას სიკვდილს უმზადებდა და ჩვენც მ ტომ მოვსწყდით. სამხრეთიდანაც ილესებოდა ხონთქარის სისხლიანი ხმალი და ამ ხმლის თავიდან აცდენასაც შევეცადეთ. და დღეს დღეობით ჩვენ მაინც გამარჯვებულნი გამოვედით.

ამიერ კავკასიის ერთა თავისუფლება, ფედერატიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკის სახეს ღებულობს. ეს სხვათა შორის ჩვენი, საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიის ბრწყინვალე გამარჯვებაა. ამიერკავკასიის ფედერაციაში, საქართველოც შევა შემდგომ ნაწილად, და საქართველოს განთავისუფლებას სხვა ვინ ჰქადაგებდა, თუ არ ჩვენ? სხვამ ვინ მიიღო მისთვის დიდი ტანჯვა, თუ არა ჩვენ? მაგრამ ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენი დევნა ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა და ჩვენმა მდევნელებმა კი ჩვენი დროშის წინ მუხლი მოიყარეს.

ამხანაგებო! ამიერკავკასიის ფედერატიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა ყველაზე მეტად მშრომელმა ხალხმა, მუშებმა უნდა შეიყვარონ, რომ მის საზღვრებში თავისუფლად აწარმოონ კლასთა ბრძოლა და ერთგულად შეკავშირებულნი ჩაებნენ მთელი ქვეყნის მშრომელთა ბრძოლაში—სოციალიზმის გასამარჯვებლად.

ქართველო მუშებო! შეიყვარეთ საქართველოს თავისუფლება, დაიცავით თავისუფალი სამშობლო მოზღვავებულ მტრისაგან და მეზობელ ერებთან შეკავშირებულებმა გასწიოთ ბრძოლის გზით სოციალიზმისაკენ. წინააღმდეგ, სოციალიზმისთვის საბრძოლველი პირობები არ გვექნება და ვერც ბრძოლას შევძლებთ.

მაშ გაუმარჯოს მუშათა განმათავისუფლებელ მოძრაობას,

გაუმარჯოს 1 მაისს,

გაუმარჯოს თავისუფალ ერთა თავისუფალ კავშირს,

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს,

გაუმარჯოს სოციალიზმს!!!

ჩვენი მომავალი

3.

ეს კაცია-ქამიათა ხროვა, რომელიც გადაურევია ჩვენი თავისუფლების გამოცხადებას—გვიდავება და ჰოი საკვირველებავ, სოციალისტურს ქურქიც კი წამოუსხამს. ზოგიერთ გულუბრყვილო ადამიანებს ჰგონია, დამოუკიდებლობა რომ არ გამოგვეცხადებინა—ბოლშევიკები და საზოგადოდ რუსეთი დაგვეხმარებოდა ოსმალეთთან ბრძოლაში. მაგრამ ეს შეცდომაა. იმ დროს, როცა ქართველი ხალხის შეგნებული ნაწილი და ჭეშმარიტი რევოლიუციონერები ხალხს მოუწოდებდნენ თავდაცვისათვის და ჯარის შედგენას ანდომებდნენ მთელს ძალ-ღონეს—ესენი მუხანათურად ზურგში გვცემდნენ მახვილს და ხალხს მობილიზაციის წინააღმდეგ ამხედრებდნენ. როდესაც ბათომი აიღეს და მეორე-მესამე დღეს აქაური ბოლშევიკური გაზეთი „კავკ. რაბოჩაია პრავდა“ გამოვიდა—იგი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა: დაგვცინოდა, ღიმ-მორეული ტალახიანი ფეხებით შემოდიოდა ჩვენს სულსა და გულში, ხელებს [illegible] და [illegible] აღტაცებით აღნიშნავდა: „კონტრ-რევოლიუციონერების“ მიერ გავრცელებული ხმები ბათომის უკან დაბრუნების შესახებ, ტყუილიაო. თითქოს ბათომის აღება და საქართველოს დაობლება დიდი რევოლიუციონური აქტი ყოფილიყოს!

სად იყვნენ ეს ვაჟბატონები, როცა ჩვენი ჯარი ფრონტზე იბრძოდა,

ეროვნული

რას აკეთებდნენ? ბოლშევიკებს მართლაც არ სძინებია. იმ დროს, როცა ამიერკავკასიის და კერძოდ საქართველოს დემოკრატია სისხლით იცლებოდა—ეს მოღალატეები ზურგში გვიმართავდნენ ფრონტებს. მოიგონეთ ბაქო, ცხინვალი, სოხუმი, ბანძა და სხვ. სადაც მნიშვნელოვანი ძალები იყო დაბანდებული და ადვილად მიხვდებით თუ რა დახმარებას გვიწევდნენ ბოლშევიკები გარეშე ძალასთან ბრძოლაში.

მაგრამ არის-მეთქი ერთი გარემოება, რომელიც თვით ჩვენშივეა და მუშაობას აფერხებს. ბოლშევიკები, ესერების გახულიგანებული ნაწილი, რუსის მოხელეობა, კადეტები და ძმანი მათნი—ეს გარეშე ძალაა. ისინი რუსეთის მპყრობელობის გრძნობისა და მის დამპყრობელ იმპერიალისტურ გემის ნაფოტები არიან. ხოლო ამიერკავკასიის ერებში სომხების ორჭოფობა და ქანაობაა დამღუპველი. წაიკითხეთ სომხური პრესა, ჰნჩაკისტების პროტესტი. მოიგონეთ დაშნაკცაკანების სამი მინისტრის გასვლა კაბინეტიდან და ადვილად დარწმუნდებით, რომ სომხები თითქოს გულით არ მიმხრობიან დამოუკიდებლობას. ისინი რყევას განიცდიან და ვინ იცის, ჟამსა განსაცდელისასა საით მიაპყრონ თვალები. რით აიხსნება ეს?

აშკარად, გულ-ახდილად უნდა ითქვას, რომ სომხის ხელმძღვანელ წრეებისათვის სასურველი მდგომარეობა იყო ძველი რუსეთის რეჟიმის დროს. ჩვენ არას ვიტყვით თვით სომხის ერის შესახებ, მაგრამ ეხლანდელი ხელმძღვანელები რომ პატივში იყვნენ ვორონცოვ-დაშკოვის სასახლეში—ცხადია. მათ ჰეგემონიის აზრიც ჰქონდათ, ოსმალეთის სომხეთის განთავისუფლებასაც ჰლამობდნენ რუსეთის იმპერიალისტების საშუალებით. რასაკვირველია ეს შეცდომა იყო, მაგრამ სიბეცე სომხის ერის ხელმძღვანელებისა ფრიად დიდი აღმოჩნდა. როდესაც რუსეთმა მცირე აზიის ნაწილი დაიპყრო და პრაქტიკულად აღიძრა საკითხი სომხეთის ავტონომიისა—მაშინ გამოჩნდა რუსეთის განზრახვანი. მილიუკოვის პირით იმპერიალისტებმა განაცხადეს, რომ ოსმალეთის სომხეთს ავტონომია სრულიად არ ესაჭიროება. ეს იყო სკანდალი. მაგრამ დაშნაკცაკანებს მალე დაავიწყდათ ყველაფერი და ძველი კურსის შეცვლა არ უფიქრიათ. მხოლოდ სულ ბოლო ხანებში ცნობილმა ხატისოვმა, რომელიც სრულიად რუსეთის ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობაზე მოსკოვში სიხარულით ცრემლებს ჰღვრიდა სტამბოლის და სრუტეების რუსეთის ხელში გადასვლის შესაძლებლობის ხსენებაზე—დიაღ, სწორედ ამ ხატისოვმა მოიგონა აღმოსავლეთ-სამხრეთის ორიენტაცია. ეს დიდი ნაბიჯი იყო სომხის ერის გადასარჩენად. ხოლო ეს აზრი დღეს, ამიერკავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკის გამოცხადების ჟამს—უფრო ცხოველია. სწორად გაგებული ინტერესები სომხეთისა უეჭველია მოითხოვს ჩრდილოეთიდან „მონაბერ ქარის“ უკუგდებას და მეზობელ ერებთან კეთილგანწყობილებას. თუ ეს არ იქნა, თუ ამიერკავკასიის მთლიანობა დაარღვია რომელიმე ერმა—მაშინ დადგება საკითხი მათი სეპარაციისა. ადვილად მისახვედრია, ვინ დარჩება წაგებული ამ შემთხვევაში.

მაშასადამე ყველა ერის ინტერესი მოითხოვს თანხმობას და ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაცვას ჩრდილოეთის და სამხრეთის მტრებისაგან. თუ ჩვენ ეს ვერ შევიგნეთ—უეჭველია ოსმალეთის მიერ ოკუპაცია არ აგვცდება. თუ ჩვენში გაბატონდა ბოლშევიზმი—ამას დიდი უბედურება მოჰყვება. თავი დავანებოთ იმას, რომ ეს ჰნიშნავს სრულს ანარქიას, სამოქალაქო ომს და გათახსირებას. საქმე ისაა, რომ ბოლშევიზმი—რუსეთის ორიენტაციის მომასწავებელია, რუსეთის გაბატონება ჰნიშნავს. ოსმალეთისათვის ეს იქნება საბაბი ჩვენი ქვეყნის დაპყრობისათვის. და მაშინ უნდა გამოვეთხოვოთ არა მარტო პოლიტიკურს თავისუფლებას, არამედ ყოველგვარ სოციალურ რეფორმასაც. ეს საშიშროება დიდია. თუ რამე დაგვღუპავს, უეჭველია ეს ერთა უთანხმოება და ბოლშევიზმი იქნება. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა გაერთიანება ყველა კულტურულ ძალებისა და დემოკრატიის დარაზმა.

რანაირად უნდა დავიცვათ ნორჩი რესპუბლიკა?

ქ. რაჭველიშვილი.

ბათომის პარტიზანული პოლკი

ამხ. იოსებ გედევანიშვილის ხელმძღვანელობით შესდგა ბათომის პარტიზანული პოლკი. ეს პოლკი ნაწილია ქართული რეგულიარული ჯარისა. ამ პოლკში სამსახური ყველას ჩაეთვლება ნამდვილ სამხედრო სამსახურად.

მოუწოდებთ ამხანაგებს სასწრაფოდ ჩაეწერნენ ამ პოლკში. სამშობლო უკიდურეს განსაცდელშია. თუმცა დროებითი ზავია, მაგრამ მტკიცე ზავს მხოლოდ ის შეკრავს, ვინც მზადაა ომისთვის.

მისამართი პოლკში ჩასაწერად: სამტრედია, გ. სიხარულიძის სახლი, პოლკის შტაბი.

ბოლშევიკების დამარცხება

გუშინ ნაშუადღევს 2 საათზე ტფილისში ცნობა მოვიდა. რომ ბაქოში ბოლშევიკები დაამარცხეს და 30000-ზე მეტ კაცს იარაღი დაუყრია.

რადიო-დეპეშები

მოსკოვი, 25 აპრილი. გუშინ შუადღის 12 საათზე გრაფ მირბახმა ინახულა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი. ლაპარაკი ჰქონდათ „რწმუნებულობის“ გრამოტების ჩაბარების შესახებ. დროსა და ადგილს მათი ჩაბარებისა განსაზღვრავს ცენტრ. აღმასრულ. კომიტეტის თავმჯდომარე. ჩიჩერინი ინახულა აგრეთვე ოსმალეთის ელჩმა.

მოსკოვი. 25 აპრილი. უკრაინაში ბრძოლა გლეხებსა და გერმანელებს შორის მწვავდება რეკვიზიციების გაძლიერების ნიადაგზე. ხანდიხან შეიარაღებული შეტაკება ხდება, რომლის წინააღმდეგ გლეხები იარაღით ილაშქრებენ. გერმანელების მდგომარეობა მათთვის შეუწყნარებელი ხდება; რადგან პარტიზანული რაზმები სდგება რეაქციონურ რეჟიმთან საბრძოლველად,

კალუგა. 24 აპრილი. შკლოვში ყოფილი რუსი კომენდანტი გერმანელებთან ერთად მუშაობს. გერმანელები მაღაზიებში ყველაფრის რეკვიზიციას ახდენენ. ს. ზარევიჩში 200 ფუთი თივა წაიღეს, 100 ფუთი ქერი და ამდენივე გამომცხვარი პური. დაბა სეჩაში გლეხებს ისინი ნებას არ აძლევენ მიწა დაამუშაონ.

პეტროგრადი, 26 აპრილი. „ნაშ ვეკ“ ბაზელიდან ატყობინებენ. რომ უკრაინაში დიდი არეულობაა. უმეტესობა უკრაინელებისა გერმანელების წინააღმდეგ არის განწყობილი. ნიკოლაევში შეტაკებები იყო, რომელიც სისხლის ღვრით დამთავრდა: გერმანელების რაზმები მანიფესტანტებს ესროდნენ ტყვიისმფრქვეველებიდან. მსხვერპლი დიდია. ამგვარივე შეტაკებები იყო კიევსა და ოდესაში.

პეტროგრადი, 26 აპრილი. „სვენსკა დაგებლადეტის“ ცნობით შვეციის მთავრობამ ნება დართო, რომ ფინლიანდიაში შვეციის საექსპედიციო რაზმი გაიგზავნოს.

ფინლანდიაში მდგომარეობა უფრო მწვავდება. გამოირკვა, რომ თეთრი რაზმელების ულტიმატუმი ინოს პორტის ჩაბარების შესახებ გერმანელების გავლენით იქმნა წამოყენებული.

კუოკალა, 25 აპრილი. ბრძოლა გრძელდება ფინლიანდიის თეთრ და წითელ რაზმელებს შორის. თეთრ-რაზმელების მხრივ რუსეთის საზღვარზე გადასვლის განზრახვა არ შენიშნულა. ერთ-ერთ სანაპირო პუნქტზე იმათ მდინარე „სესტრაზე“ ხიდი გააკეთეს. თეთრ-რაზმელების უმნიშვნელო რიცხვს რომელნიც ამ ხიდზე გადავიდნენ, იარაღი ჩამოართვეს. წითელ-რაზმელებმა ხიდი დაანგრიეს.

ვიტებსკი. 25 აპრილი. თანამდებობიდან გადააყენეს და სამართალში მისცეს საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის მთელი შემადგენლობა.

პეტროგრადი. 25 აპრილი. სად. სკრონცევოზე საკმაო დიდ მანძილზე გარეკა საბჭოს ჯარმა მტერი. ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა გენ. ფონკრენსდერი, რომელიც, როგორც ხმები დადის, დაიჭრა. საზოგადოდ საბჭოს ჯარის მდგომარეობა ვორონეჟლისკის რაიონში უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში გაუმჯობესდა.

მოსკოვი. 25 აპრილი. გერმანიის რადიო-დეპეშა იუწყება, რომ 23 აპრილს ბერლინში გარდაიცვალა ბულგარეთის ელჩი რიზოვი.

პეტროგრადი. 25 აპრილი. გერმანიის რადიო (24 აპრილის) იუწყება, რომ გერმანიის ჯარმა გენ. კოშის მეთაურობით სიმფეროპოლი აიღო.

პეტროგრადი. 25 აპრილი, ბულგარეთის ელჩად რუსეთში მაჯაროვი დანიშნა.

პეტროგრადი. 25 აპრილი. ცნობებია მიღებული, რომ მოჰკლეს ცნობილი პროვოკატორი დეგაევი. რუსი პროვოკატორი მოჰკლეს ამერიკაში ინტერნაციონალისტ-ტერორისტთა ჯგუფის დადგენილებით.

მოსკოვი. 26 აპრილი. მოსკოვის დეპ. საბჭოს აღმ. კომიტეტის „არჩევნებში სულ 672-მა მიიღო მონაწილეობა: კომუნისტებმა 474 ხმა მიიღეს, მემარცხენეებმა 49, შეერთებულმა ს.-დ. 5, მენშევიკებმა 101, ცენტრის ს.-რევ. 35, უპარტიოებმა—7. ადგილები ასე დანაწილდა: 60 ადგილად კომუნისტებმა მიიღეს—42, მენშევიკებმა—9, მემარცხენე ს. რევ.—5, ცენტრის ს.-რევ.—3, უპარტიოებმა—1, შეერთებულმა ს. დ.—1.

მოსკოვი. 25 აპრილი. ცენტრ. აღმ. კომ. 25 აპრილის სხდომა, დღის წესრიგში საკითხი მარტოვის საქმის კასაციის შესახებ: მას სახალხო კომ. საბჭო ბრალს სდებს ცილისწამებაში პრესის საშუალებით. პრეზიდიუმის სახელით მომხსენებლად გამოდის კრილენკო, რომელიც წინადადებას იძლევა განასაჩივრონ მარტოვის საქმე და კვლავ გადასცენ ის სარევოლუციო ტრიბუნალს, წინადადება მიიღეს.

მემკვიდრეობის უფლების საკითხის შესახებ მოხსენებას კითხულობს გეიხბარდტი: მის მიერ წარმოდგენილი პროექტი მოიწონეს და საბოლოოდ რედაქციისათვის პრეზიდიუმს გადასცეს.

სომხების მოწოდება ჰააგაში

პარიზი 22 აპრილი. „ანდონსანი“. სომხების ეროვნულმა კომიტეტმა ჰააგაში შემდეგი მოწოდებით მიმართა განათლებულ კაცობრიობას კავკასიის ამბების გამო, რომელიც ოსმალთა განზრახვებთან არის დაკავშირებული:

„ხოცვა-ჟლეტისა და ძალდატანებითი გადასახლების შემდეგ, რომელიც სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში სწარმოებს, სომხეთს კვლავ მოელის საფრთხე იმისა, რომ ოსმალეთის მთავრობის ნებით მთლად მოისპობა სომხის ერი. ისინი სარგებლობენ რუსეთის დაშლით და არა თუ სურთ ოსმალეთის სომხეთის დაკავება და კავკასიის დაპყრობა, არამედ, ისინი ისწრაფიან იმისკენ, რომ მოსპონ სომხური რასა, და არა მხოლოდ სომხეთი კავკასიაში.

ნეიტრალურ ქვეყნებში ოსმალები საზიზღარ ცილისწამებასავრცელებენ სომხებზე და ბრალს სდებენ მათ სისასტიკეში, რომელსაც ისინი თითქოს იჩენენ მუსულმან მცხოვრებლებზე. იმ წამებულთა სახელით, რომელთაც გვამებით მოფენილია სომხეთი, ადამიანური სამართლიანობის სახელით მოუწოდებს სომხების კომიტეტი ყველა ერს და სთხოვს მათ, ვიდრე გვიან არ არის, თავისი შუამდგომლობით შეაჩერონ ერის მოსპობა. პასუხისმგებლობა ოსმალეთის სიმხეცისა, რასაკვირველია, მთელ ოთხთა კავშირს ედება, რადგან ოსმალეთის მოკავშირეებს ჯერ არ განუცხადებიათ პროტესტი მისი პოლიტიკის წინააღმდეგ სომხეთში“.

სამხედრო ბეგარა ირლანდიაში

ლონდონი. 25 აპრილი. „ანდონსანი“. გუშინ პროტესტს ხელი მოაწერა მილიონამდე ირლანდიელმა. თემთა პალატის ირლანდიელმა წევრებმა გადასწყვიტეს არ დაესწრნენ პარლამენტში და დარჩნენ ირლანდიაში აქტიური ოპოზიციის საწარმოებლად ახალი ბეგრის ბილლის წინააღმდეგ. კონფერენციის შემდეგ ყველა 54 ირლანდიელი დეპუტატი გაემგზავრა თავის საარჩევნო ოლქებში. დეპუტატები არწმუნებენ ამომრჩევლებს არ იცნონ აქტი ჯარში გაწვევისა და დაჰგმონ იგი. ერთმა მათგანმა განაცხადა: არავინ არ უნდა იშუამდგომლოს შეღავათის შესახებ, არამედ ყველამ უარი უნდა სთქვას. სრულიად ირლანდიის მუშათა ყრილობამ ლორდ ბანორის თავმჯდომარეობით დაადგინა პროტესტი განაცხადოს ჯარში გაწვევის წინააღმდეგ და ერთი დღით გაფიცვა გამოაცხადა, რათა საშუალება მისცენ მუშებს პროტესტს ხელი მოაწერონ. ლორდმა განაცხადა, რომ ის ვილსონს გადასცემს მუშათა ყრილობის დადგენილებას.

ახალი ამბავი

◆ **დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგად ამიერკავკასიის სეიმის წევრი მ. არუთინიანი.**

◆ **ფინანსთა სამინისტრო** განმარტავს, რომ ფულის გადაწერა ტფილისის ხაზინის ასსიგნაციებით სახელმწიფო ბანკის მიმდინარე ანგარიშზე დაუბრკოლებლივ სწარმოებს.

◆ **შრომის სამინისტრომ** განმარტა, რომ შტატს-გარეშე დახმარებით შტატების შემოკლების გამო სარგებლობენ აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურენიც.

◆ **მ. და ჯ.-ქ. დეპ. საბჭომ** ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ ისეთივე რეზოლიუცია მიიღო, როგორიც საოლქო ცენტრმა გამოიტანა 12 აპრილს: მოიწონა სეიმის დადგენილება და მთავრობას დახმარება აღუთქვა.

◆ **ზავის გარშემო.** მთავრობის თავმჯდომარემ დეპეშით მიმართა ოსმალეთის მთავარ-სარდალს ვეჰიბ-ფაშას, რომელშიც სთხოვს აცნობოს, ცენტრალურ სახელმწიფოებიდან ვისი წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას მომავალ სამშვიდობო კონფერენციის მუშაობაში ბათომში („ანდონსანი“)

◆ **დანიშნეს** მუსა ბეკ შაბანბეკოვი ზაქათალის ოლქის კომისარად და ალლასიარ-ბეკ სულთანოვი ერევნის გუბ. კომისარის თანაშემწედ.

◆ **წ. კ. საზოგადოებაში** ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებაში მოსამსახურე პირებმა გადასდეს საქართველოს ეროვნული საბჭოს ფონდის გასაძლიერებლად ჯამაგირის 2%. ამ ჟამად ქ. შ. წ.-კ. ვ. გ. საზ. იბეჭდება შემდეგი წიგნები: 1. ბუნების კარი, 2. სიტყვიერების ისტორია ხახანაშვილის XIX საუკ. 3. მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველებისა ს. იაშვილისა, 4. ზ. მღვიმელის: „ცვარი, ჩემი ყვავილები“, „ოქროს თავთავი“, 5. „მეხის ამბავი“ გ. შარაშიძის. დამზადებული დასაბეჭდად: 6. დედა-ენა 1 ნ., 7. დედა-ენა 2 ნ., 8. ქართველი მწერლები ი. გომელაურისა, 9. „ფიზიკა“ (კონცენტრიული კრებული) რ. ბუკიშვილისა, 10. ხახანაშვილი სიტყვიერების ისტორია XVIII საუკ. 11. ხომელაშვილის არითმეტიკული კრებული 1, 2 ნაწ. 12. საბავშო მოთხრობები. გ. ქუჩიშვილისა, 13. დ. კლდიაშვილის მოთხრ. სრული კრებული, 14. კრილოვის იგავ არაკები და სხვა მრავალი წიგნი.

◆ **საზავო დელეგაცია.** საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღებულ ცნობებით, ოსმალეთის საზავო დელეგაცია, ჩამოვა ბათომში 5 მაისს (ახ. სტილით). ამ დროისთვის ბათომში გაემგზავრება ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია.

◆ **ყარსის ევაკუაცია.** უახლოეს დროში გამოქვეყნდება ამიერკავკასიის მთავრობის ვრცელი ცნობა, ყარსის ევაკუაციის შესახებ.

◆ **უკრაინელები** ამიერ-კავკასიის მთავრობამ წინადადება მისცა სიღნაღის მაზრის კომისარს დაუყონებლივ გაუგზავნოს მთავრობას სოფ. დაშკოვის უკრაინელ მცხოვრებლების მდგომარეობა, და ყოველივე ზომები იხმაროს იმათ უზრუნველყოფისათვის.

◆ **ტფილისის დამცველმა შტაბმა** შეიპყრო: ჯარის-კაცი ივ. გნილიცკი ფულის მოპარვისათვის. ჯარის-კაცები აკუდაშევი და გ. უბანოვი ცხენის მოპარვისათვის. ქართულ მე-2 ბატარეის ჯარის-კაცები კვინიკაშვილი და და გ. გოთიაშვილი იმათ უპოვეს ყუმბარა „ვინტოვკა“ და 120 ტყვია.

◆ **ჩრდილოეთი კავკასია.** კავკავიდან, 16 აპრილს თერგის მთავრობის თავმჯდომარე ბოგდანოვი და მისი მდივანი ბოჭკოვი, ამიერკავკასიის მთავრობას აუწყებენ: „თერგის მთავრობამ გაიგო, რომ ჩრდილოეთ კავკასიის დელეგატები, რომელნიც სტამბოლში იმყოფებიან გამოაცხადეს ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობა და აცნობებენ ამაზე ოსმალეთის მთავრობას და სხვა სახელმწიფოებს თერგის მთავრობა, რომლის შემადგენლობაში შედიან შემდეგი ფრაქციები: ჩაჩანთა, ყაზახთა, ბალყართა, ყაბარდოელთა, ოსთა, ინგუშთა და სხვა ქალაქების, იუწყება, რომ არავინ, არასოდეს და არსად არ გაუგზავნია მთავრობას ზემოხსენებულ მიზნისათვის. თუ კერძო პირები, რომელნიც სტამბოლში იმყოფებიან და თავიანთ თავს დელეგატებს უწოდებენ, ამნაირი მათი საქციელი მხოლოდ ავანტიურად უნდა ჩაითვალოს.

თერგის სახალხო საბჭო გაკვირვებულია, რომ ასე ბრმად დაუჯერა ოსმალეთის მთავრობამ ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება, რომელშიაც არწმუნებდნენ მას მაწანწალები. თერგის მთავრობა ხსენებულ ფრაქციებთან ერთად აცხადებს რომ ჩრდილოეთ კავკასია წარმოადგენს რუსეთის რესპუბლიკის განუშორებელ ნაწილს. და პროტესტს აცხადებს იმის გამო რომ ამიერკავკასია ჩრდილოეთ კავკასიის ჩათრევას აპირებს დამოუკიდებლობის გამოცხადების საქმეში.

◆ **მკვლელობა.** მილიციონრებმა შეიპყრეს ქუჩაში მოხეტიალე კარაპეტოვი, რომელიც მოჰკლეს, რადგანაც გაქცევა დააპირა.

◆ **გაზეთის დახურვა.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით აკრძალულ იქმნა სომხეთის კომუნისტების ორგანო „კარმირ დროშაკ“.

◆ **ამიერკ.-კავ. მთავრობის სხდომაზე** 14 აპრილს დადგენილ იქმნა:

1) დაავალოს საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ჩხენკელს შეადგინოს თავის თავმჯდომარეობით კოლეგია, კონსტიტუციის შესამუშავებლად ამიერკავკასიის ფედერატიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის, კოლეგიაში მოიწვიოს პოლიტიკურ პარტიების და ეროვნულ საბჭოების წარმომადგენლები. კოლეგიაში სამუშაოდ აგრეთვე მოწვეულ იქნებიან ტფილისში მყოფნი პროფესორები ზ. ავალიშვილი, ღამბაროვი, ნაფიცი ვექილი რცხილაძე და სეიმის წევრი რასულ ზადე.

2) პროექტის შესამუშავებლად კომისიაში დანიშნულ იქმნენ; შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ვ. რამიშვილი, (თავმჯდომარედ) სურსათის მინისტრი სააკიანი და განათლების მინისტრი უსუბეკოვი.

3) ფინანსთა მინისტრს დაევალა ფინანსების შესახებ პროექტის შემუშავება.

4) მინისტრებს დაევალათ შემუშავება სხვა და სხვა დაწესებულებისათვის სათანადო პროექტებისა.

5) ვაჭრობა მრეწველობის საქმე ამიერკავკასიისა სხვა სახელმწიფოებთან მიენდოს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს.

6) ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო ზოგი სამინისტრო საერთო დარჩება მთელი კუთხისთვის (მაგალითად ფინანსთა, მიმოსვლის და სხვ.). სხვებს ექნებათ ადგილობრივი მნიშვნელობა.

7) ამიერკავკასიის კანცელარია გაუქმდეს (ყოფილი მეფის მოადგილეს კანცელარია); შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალოს სათანადო პროექტის შემუშავება კანცელარიის შტატგარეშე დარჩენილ მოხელეების მდგომარეობის შესახებ. ფინანსთა მინისტრს დაევალოს განაგრძოს რუსეთში ფულის გადაგზავნა.

8) მიღებულ და მოწონებულ იქმნა პროექტი ბონების ბეჭდვის გაფართოების შესახებ.

9) ფინანსთა მინისტრს დაევალოს მილიციის და მფრინავი რაზმის დასაკმაყოფილებლად ზომები მიიღოს. სურსათის მინისტრს მიენდოს, ქ. გორის თვითმართველობისთვის 500 ათას მანეთის სესხის საქმე, პურის და სურსათის საყიდლად.

10) ტყიბულის მაღაროების ლიკვიდაციის გამო, იქაურ მუშებს, პირველ აპრილიდან გადაუხადონ ჯამაგირის ნახევარი.

◆ **პარტიზანულ რაზმის** სააღდგომო საჩუქრებისთვის მიიღეს ფული: ლად. ს. მიქელაძისაგან 50 მან., ნ. დადიანისაგან 15 მ., [illegible] კილოსანიძისაგან 50 მ., ტარუაშვილისაგან 25 მ., ივ. ზედგინიძე [illegible] მ., თამ. თარხნიშვილისაგან 10 მ., [illegible] და ერისთავის ხელით შეგროვილი 107 მ., მაშო [illegible] ხელით 69 მ., ს. [illegible] ხელით 100 მ., ამას გარდა მიღებულია ღვინო, საპონი, ფანქრები, თუთუნი პაპიროსები, წუწუმა, ძაფი და სხვა...

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

მაისობა დღეს, ოთხშაბათს პირველ მაისს, საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიის ტფილისის კომიტეტი, პარტიის ყველა წევრებს იწვევს პარტიულ კლუბში. დილის ათი საათისთვის, პირველ მაისის მანიფესტაციებში მონაწილეობის მისაღებად. პროცესია დაიძვრის დილის 10 საათზე და გაემართება გოლოვინის პროსპექტისაკენ, სადაც დღეობაა დანიშნული.

ზუგდიდი. 8 აპრილს მოხდა საერთო კრება პარტიული წევრებისა. პირველად კრებამ დაამტკიცა კომიტეტის მიერ მიღებული ახალი წევრები. შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. მდივანმა კომიტეტის მოქმედების შესახებ, ხოლო ამხ. კაკულიამ მომენტის შესახებ. დასასრულ კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გრ. დადიანმა წარუდგინა კრებას ანგარიში წასული წლის შემოსავალ-გასავლისა. შემოსავალი ყოფილა 15.000 მანეთამდე და ყველა მოხმარებია მაზრაში პრაპაგანდის საქმეს.

საღამოს დეპეშები

ტფილისი 17 აპრილი. საღ. 5 ს.

ანდონსანი

ოსმალეთის დელეგაცია ბათომში 5 მაისს ჩამოვა.

ოსმალოებმა ერევნის მიმართულებით შემოუტიეს და ჩინგილის გადასავალი დაიკავეს.

გენერალ შიხლინსკი ატყობინებს მთავრობას, რომ ბაქოზე შემტევმა რაზმმა დაიკავა ქალაქი

რუსეთის და უკრაინის საზავო მოლაპარაკება 28 აპრილს დაიწყო და კურსკში სწარმოებს.

სოფლად და ქალაქად

გორი.

◆ ისეთი თავხედობა, როგორსაც ამ ბოლო დროს სახლის პატრონები სჩადიან, არავის ახსოვს. რაც რამე გადასახადი გააწერეს, სულ მდგმურების კისრიდან იღებენ და თუ წინად თვითონ ეძებდნენ მდგმურებს, ეხლა უკმეხად მდგმურთ სახლებიდან თვითონ ერეკებიან—არ გინდა სურვილი შემისრულო და მომიმატო? მიბრძანდი სადაც გენებოს... ეხლა მუშტარი ბევრია. მათ თავხედობას იმან შეასხა ფრთები, რომ გორს ბევრი გამოქცეული მოაწყდა და ბინა ძნელი საშოვნელი შეიქმნა. ოთახებს, წინად რომ 3—4 მანეთში იყო გაქირავებული, ეხლა 6—7 თუმნად აფასებენ. მათ თავხედობას ხელს უწყობს და ძლიერაც, ქალაქის გამგეობის დუმილი. ის მაინც ექმნა გამგეობას, რომ გამოეცხადებინა, თუ რამდენი პროცენტის მომატება შეუძლიან სახლის პატრონს რათა მდგმური მის უსაზღვრო სურვილსა და პრეტენზიას უსიტყვოდ არ დაემორჩილოს, არა, ქალაქის გამგეობა სდუმს, თითქოს მისი პირდაპირი მოვალეობა არ იყვეს ხალხზე ზრუნვა და თვის დუმილით ისედაც აბუჩად აგდებულ ხალხს სპეკულიანტ და ჩარჩ სახლის პატრონების პირში აგდებს შეუბრალებლად.

◆ გახურებული მუშაობაა სოფლად. როგორც სოფლებიდან გვატყობინებენ, გლეხებს თითქმის ყველგან დაუყვიათ მებატონეთა მამული და მოუხნავთ ისიც კი, რაც დღემდე გუთანს ქვეშ არა ყოფილა. მოსავალსაც ძალიან კარგ პირი უჩანს, თუ ამინდმა არ უღალატა.

◆ სოფლებში თურმე ხალხი ბლომად ხოცება, მეტადრე ბავშვი. უწამლობა და უექიმობა სიკვდილს ხელს ძლიერ უწყობს.

◆ სანოვაგე გორში უფრო და უფრო ძვირდება. ვინ დაგიდევს ნიხრს და კიდეც რომ ვინმემ მოაგონოს ეს—სასაცილოდ არ ეყოფათ.

ზუგდიდი.

◆ სურსათის საქმე მეტად გართულებულია ბაზარზე, მით უფრო რომ ზოგიერთები პროპაგანდას ეწევიან სასურსათო და კოოპერატიული დაწესებულების წინააღმდეგ. განსაკუთრებულ პირობებშია ზემო სამეგრელო, სადაც კარგა ხანია უკვე სიმინდი გამოილია და ყიდულობენ.

◆ ქალაქის თვითმართველობამ შეიძინა ერთი სახალხო მატარებელი და მალე დაიწყებს მუშაობას სენაკსა და ზუგდიდს შუა.

◆ მთელს მაზრაში უპასუხისმგებლო პირები „ბოლშევიკების“ სახელით აგიტაციას ეწევიან მთავრობის და მობილიზაციის წინააღმდეგ. რად ვერ გაუგიათ ამ პირებს, რომ გვერდით უდგანან ყოფილი ნიკოლოზის მთავრობის „სტრაჟნიკები“ და „გოროდოვოები“. ამას უნდა დაუკვირდნენ შეგნებული ჯარისკაცები.

ქ. ახალციხე.

◆ 7 აპრილს აქ მოვიდა ბორჯომიდან გენერალ არჯევანიძის თანა-

ამხანაგებო და მოქალაქენო! 29

სააღდგომო საჩუქარი დაუმზადეთ ბათუმის პარტიზანულ პოლკს, შესწირეთ დღეს-ხვალ ყოველი ნივთი, სანოვაგე, ფული.

შემწე გენერალი მაყაშვილი, რომელიც დაჟინებით მოითხოვს სალდათთა საბჭოს გაუქმებას, მაგრამ...

◆ 3 აპრილიდან ადგილობრივი ქართველთა ინტერპარტიული საბჭო იწოდება ახალციხის ქართველთა ეროვნულ საბჭოთ.

◆ 6 მარტის შემდეგ მეეტლეებმა შესწყვიტეს ბორჯომზე მიმოსვლა, ვითომდა შიშის გამო. თუ რომელიმე მეეტლე დაჰპირებს წასვლას, ახალციხიდან ბორჯომამდის თხოულობს 300 მანეთიდან 500 მანეთამდე. ომამდის მეეტლე იღებდა 10—12 მანეთს, ომის დროს 25—30 მანეთს და დღეს-კი თხოულობს 300—500 მანეთს.

◆ 6 მარტის შემდეგ აქ არავითარი მთავრობა არ არსებობს და საჭიროების დროს მცხოვრებლებმა არ იციან ვის მიმართონ. არა მკითხე ადამიანები ასრულებენ მთავრობის მოვალეობას ისე როგორც მოეპრიანებათ. ქალაქის თავიდან—სომხების მტაბამდე სუყველა თავის თავს მთავრობად სთვლის და ანგარიშს არ უწევს გენერლების განკარგულებებს. საჭიროა ასეთ არანორმალურ მოვლენას დაუხანებლივ ყურადღება მიაქციოს ვისაც ჯერ არს.

◆ კოოპერატივ „მესხეთის“ მაღაზიის წინ გავლა შეუძლებელია, ვინაიდან ნაყიდ აყროლებულ თევზს „ტარანს“ კოოპერატივი აშრობს ქუჩაში—მზეზე. როგორც ეტყობა კოოპერატივს ფულის მიცემის დროს თვალები ღია ჰქონდა და თევზს, რომ იბარებდა თვალები დაუხუჭავს. ასეთ თევზს კოოპერატივი ჰყიდის ცალს 40—60 კაპეიკად და ავიწყდება, რომ შეიძლება მომხმარებელი მოიწამლოს. მოწამვლაც იქით იყოს, ეს თევზი ზარალის მეტს მჭამელს არაფერს არ მოუტანს.

◆ რაბათში ელექტრონის სინათლე გაჰყავთ ახალი ნაწილიდან ებრაელების ქუჩით, ასე რომ ის გზები, რომლებიც აერთებენ რაბათს ძველ ნაწილთან გაუნათებელი უნდა დარჩეს. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ თვით რაბათელებმა და დაჟინებით მოითხოვონ შემაერთებელი გზების ელექტრონით განათება.

◆ 3 აპრილს ახალციხეში დაბრუნდნენ 10 ქართველი ჯარისკაცი და ერთი პრაპორშჩიკი, რომლებიც წასული იყვნენ ურავლის საზოგადოებაში მობილიზაციისთვის და რომლებიც მაჰმადიანთა მიერ დატყვევებული იყვნენ ორ კვირაზე მეტი. მაჰმადიანებს იარაღი აეყრიათ მათთვის, ტანთსაცმელიც გაეხდიათ და ზედა ოშორიდან (მაჰმადიანთა სოფელია) ტიტველ-შიშველი გამოუშვიათ ახალციხისკენ. სოფ. აწყურიდან ზედა ოშორაში, რომ არ მისულიყო ალი-ბეგ შარაბჩიევი, თურმე დატყვევებულებს მაჰმადიანები კიდევ არ გაანთავისუფლებდნენ.

◆ 5 აპრილს აქ მოვიდა, ტყვეობიდან გამოქცეული სოფ. დამავლიადან, ინგილოელი ს. კაშეშვილი. უკანასკნელი მსახურებდა მერდენში „ლესნიჩის“ თანაშემწედ და სხვებთან ერთად დატყვევებულ იქმნა სოფ. დამავლიაში მაჰმადიანთა მიერ. კაშეშვილის გადმოცემით მაჰმადიანები გლახათ ეპყრობიან ჩვენ ტყვეებს. მისივე გადმოცემით ქართველი აფიცრები და ჯარისკაცები 30 კაცამდე მაჰმადიანებს გადეუყვანიათ სოფ. რაბათში. (ეს სოფელი ახალციხის მაზრაშია და მდებარეობს 30 ვერსის მანძილზე ახალციხიდან, ბათომის გზატკეცილზე). დანარჩენი კერძო პირები 30 კაცამდე დაუტოვებიათ დამავლიაში. ბ-ნ კაშეშვილისთვის, როგორც დანარჩენ ქართველებისთვის, მაჰმადიანებს გამოურთმევიათ ტანთსაცმელიც-კი. ს. დამავლიაში მდგარა, ადგილობრივ მაჰმადიანთა გარდა, 23 ოსმალო ჯარისკაცი და ერთი აფიცერი. 9 აპრილს აქ მოვიდნენ, დამავლიადან გამოქცეული ორი რუსის ჯარისკაციც, მათი სიტყვით იქ მყოფი ქართველი ტყვეები ყოველმხრივ განიცდიან დიდ გასაჭირს. ბ-ნ ს. კაშეშვილს ადგილობრივმა ქართველთა ეროვნულმა საბჭომ შეძლებისა დაგვარად აღმოუჩინა ნივთიერი დახმარება.

ველისციხე

◆ ველისციხის შემნახველ-გამსესხებელ ამხ—ას სჭირდება: პროვიზორის თანაშემწე, ბებია—ქალი და ფერშალი. საჭიროა ცოდნა ქართული ენისა. ჯამაგირს აძლევს ამხანაგობა.

კონტრ-რევოლიუციის დროშა

რუს ესერების ტფილისელი გაზეთი „ზნამია ტრუდა“ (შრომის დროშა) ნამდვილ კონტრ-რევოლიუციისა და პროვოკაციის დროშად გადაიქცა. თუმცა წინადაც ეტყობოდა ამ გაზეთს და მის თანამშრომლებს ნაციონალისტური და ჭეშმარიტი რუსული პოლიტიკის წარმოება, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ამიერ-კავკასია დამოუკიდებელ ფედერატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა და თავისუფალი და დამოუკიდებელი არსებობის გზას დაადგა, ყოველი საზღვარი გადალახა ამ გაზეთმა და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ამიერკავკასიის დემოკრატიას, სეიმს და დემოკრატიულ მთავრობას.

თუ უწინ იგი კმაყოფილდებოდა ერთი-ორი კბილი გაეკრა და აბუჩად აეგდო წმინდა ეროვნული მისწრაფება ამიერკავკასიის მშრომელ ხალხისა,—დღეს მოურიდებლად მოუწოდებს ამიერკავკასიაში მცხოვრებ რუს „დემოკრატებს“ უნდობლობა გამოუცხადონ სეიმს და, თუ საჭირო იქნება, შეიარაღებული ძალით გარეკოს იგი.

ამგვარი მოწოდება უფრო მომაკვდავის კივილ ჩხავილი—მათი უძლურების მაჩვენებელია, მაგრამ ამ მოწოდებაში არის საზიზღარი პროვოკატორული მხარე, რომელიც ძირიან ფესვიანად უნდა იქმნეს აღმოფხვრილი.

უკანასკნელი ნომერი ამ გაზეთისა სავსეა ჩვეულებრივი ჭორებითა და ტყუილებით. გაზეთი იმდენად თავხედურად იქცევა, რომ მთელ სამინისტროსა და კერძოდ მის თავმჯდომარეს ხალხის მტრად, მოღალატედ აღიარებს.

ამ კონტრ-რევოლიუციონერებისა და პროვოკატორების ბუდემ ვერ გაიგო, რომ ამიერკავკასიამ ახალი გზა აირჩია,—გზა თავისუფლებისა და ჭეშმარიტებისა,—ვერ გაიგო, რომ დღეს წმინდა ეროვნული იდეა იმარჯვებს—იდეა დემოკრატიული ფედერალიზმისა,—ვერ შერიგებიან იმ აზრს, რომ გუშინდელი მონა რუსეთის თვითმპყრობელობისა, დღეს დამოუკიდებელ და თავისუფალ მხარედ აღიარებს თავს...

დღეს, როდესაც ამიერკავკასიის ახალი დემოკრატიული სახელმწიფო ფეხს იდგამს და მოწადინებულია იხსნას ქვეყანა დაღუპვისაგან, როდესაც თავისუფლების ჟამმა დაჰკრა და მოითხოვს მთელი დემოკრატიისაგან დახმარებას და ძმური ხელის გაწოდებას,—როდესაც საჭიროა ერთსულოვნება და სოლიდარული მოქმედება ქვეყნის აღორძინებისა და განახლებისათვის, აი სწორედ ამ დროს კონტრ-რევოლიუციისა და პროვოკაციის დროშის მატარებელნი ყვავ-ყორნებივით თავს დაგვეხვევიან და ბრძოლას გვიცხადებენ.

ბრძოლას—ბრძოლითვე უნდა ვუპასუხოთ. ამიერკავკასიის მშრომელ ხალხს იმდენი ძალა მაინც კი შესწევს რომ დემოკრატიის მტრებს ხმა ჩააკმენდინოს.

დადგა დრო, როდესაც სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ჩვენი ქვეყნის თავისუფლების მტრებს—ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს ამგვარ ჯგუფის მავნე და დამღუპველ მოქმედებას ჩვენში!..

კოკი აბაშიძე.

...ბოღმით და სევდით მევსება გული...

ჩემი სამშობლო განსაცდელშია
ეს ქვეყნის თვალი, ეს თაიგული!..
და, რომ შევყურებ სასოწარკვეთილს,
ბოღმით და სევდით მევსება გული...

*

განსაცდელშია—და მოძმეთ შორის
ვეღარა ვხედავ „ალმაშინებელს“,
ვერც „პატარა კახს“ არწივთა გუნდით,
ვერავის—ქართველთ ნუგეშს, მშვენებელს...

*

მტერი წინ მოდის, სულ წინ მოიწევს—
გათავხედებულ-გალაღებული,
და ამ დროს შიგნით, თვით მოძმეთ შორის,
ბრძოლა-დევნაა გაჩაღებული!..

*

გამქრალა გრძნობა სამშობლოს დაცვის,
გახარებულა მტრისგან დარგული
„ხე ბოროტების“.. ამას რომ ვხედავ,
ბოღმით მევსება სული და გული...

*

და საკუთარი თვით ჩემი გრძნობა,
თვით ჩემი ფიქრი, სულის კვეთება—
მწამლავს... არ ვიცი, რა ძალმიძს მე დღეს,
რით გამოდგომა, რის გაკეთება..,

*

და მაგონდება წარსული დღენი:
მამულს ვეთაყვან-ვემიწებოდი—
და, ვით მიჯნური გულანთებული,
თავის დადებას ვეფიცებოდი!..

*

და დღეს, როდესაც ვხედავ—ჩემს მამულს
წინ უდგას საფრთხე, ძნელი უფსკრული,
როდესაც მის ბედს უძლევს, განაგებს
უგუნურთ ჯგუფი გზადაკარგული,—
მეც სხვებთან ერთად უმწეოთ ვდგავარ,
ვით კარდახშული, ვით გათანგული—
და, შინ და გარეთ მტრებისა მზირალს,
ბოღმით და სევდით მევსება გული...

სილოვანი.

ქუთაისი 15 მარტი.

ბრძოლის ველისკენ

11 აპრილი.

ჩვენი რაზმი დღეს დასვენებულია, რადგანაც ომი დროებით შეწყვეტილია. ყველა იმას ნანობს, რომ ომი სწორედ იმ დროს შესწყდა, როდესაც შესაძლებელი იყო ვაჟკაცობის გამოჩენა.

მართლაც წინა დღით სამწუხარო რამ მოხდა. როგორც ვწერდი, ჩვენს რაზმს ცენტრი ეჭირა, ხოლო მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე სხვა ჯარები იყვნენ გამაგრებულნი. მარცხენა ფრთაზე მდგარს ჯარს ამ დღეს ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა არ მიუღია, ხოლო მარჯვენა ფრთაზე, გამაგრებულმა ჯარმა დიდხანს იბრძოლა, თუმცა ნაწილმა უღალატა და ლაჩრულად დასტოვა ბრძოლის ველი. საღამოს ჩვენმა რაზმმა ცენტრიდან შეუტია მტერს და გაფორიაქა. მტერმა სცადა მედგარის იერიშის მოტანა, მაგრამ ჩვენმა რაზმელებმა საშინელის სროლით უპასუხეს, და მტერს უკან დაახევინეს და მიჰყვნენ ოზურგეთისკენ. ჩვენი რაზმელები ოზურგეთიდან სულ 2—3 ვერსტით იყვნენ დაშორებულნი და ჯერ კიდევ განაგრძობდნენ გაბედულად წინსვლას, მაგრამ ღამით უეცრად მოვიდა ბრძანება, ომი შეაჩერეთ, დროებითი ზავი ჩამოვარდაო. ამ ბრძანებამ ჩვენი რაზმი დიდად დაალონა, მაგრამ იძულებული იყო ბრძანებას დამორჩილებოდა და ხელი აეღო ოზურგეთში შესვლაზე როგორც ოზურგეთიდან გამოქცეულნი მოგვითხრობენ, ოსმალთათვის დიდი ზარალი მიუყენებია ჩვენს რაზმს, რომელიც მოქმედებდა „ვინტოვკებით“ და ტყვიის მფრქვეველებით. ჩვენის რაზმიდან ერთია მსუბუქად დაჭრილი ერთი კი—უგზოუკვლოდ დაკარგული.

11 აპრილს უკვე ყველა მცხოვრებლი იგებს, რომ დროებითი ზავი ჩამოვარდა.

— ვიცით, ვიცით, რასაც ნიშნავს დროებითი ზავი. პირველს ზავს ბათომის აღება მოჰყვა. ეს მეორე ზავი ალბად კიდევ რაიმე დიდს უბედურებას მოგვიტანს. ოსმალოთ მაშინ მოუნდება ხოლმე „დროებითი ზავი და მოლაპარაკება როდესაც ძალა შეუსუსტდება და დრო სჭირდება ახალის ჯარების მოსაყვანად,—იძახიან ჩვენები.

ჩვენი რაზმელები მხნედ განაგრძობენ გამოქცეულ ჯარის-კაცების შეპყრობას და იარაღის აყრას. ეს უკანასკნელნი ხშირად სცდილობენ თავიანთი დანაშაული სხვას მოახვიონ თავზე და ხან რას იგონებენ, ხან რას.

როდესაც ჩვენმა მზვერავებმა ერთგან შეიპყრეს გამოქცეული გურული ჯარისკაცები, მათ თავის მართლება დაიწყეს და სთქვეს:

— მარტო ჩვენ რას გავაწყობდით უთვალავ მტერთან? კახელებმა გვიღალატეს და ბრძოლის ველიდან გამოიქცნენ. იძულებული გავხდით, ჩვენც წამოვსულიყავით, რომ ტყუილად არ დაგვეხოცა თავებიო.

ეს საზიზღარი ბრალდება ყოვლად უსაფუძვლოა, რადგანაც არც ერთი კახელი და საერთოდ არც ერთი ჩვენი რაზმელი ერთს წამსაც არ მოშორებია ბრძოლის ველს. პირიქით ყველანი ლომებივით იბრძოდნენ და დღესაც ურყევლად სდგანან პოზიციაზე.

ოსმალეთთან ბრძოლა ხშირად იმ დროს ხდება, როდესაც ჩვენები არ მოელიან. წინად ჩვენს ჯარებს ოსმალთათვის იმდენი ტანისამოსი დაუტოვებიათ სამხედრო დავლად, რომ მთელი როტები არიან შემოსილნი ჩვენი ჯარებით და გარეგნულად ძნელი გასარჩევია, ჩვენები არიან, თუ ოსმალონი.

როგორც ეტყობა, ჯაშუშებიც ბლომად დაძრწიან სოფელ-სოფელ და ამბები მიაქვთ მტრის ბანაკში. ჯაშუშებს უფრო ქობულეთელნი შეადგენენ, რომელთაც ქართული კარგად იციან და ქრისტიან ქართველებად ეცლინებიან ჩვენებს.

ჩვენი რაზმი ამ ჟამად სდგას ოზურგეთის მახლობლად სოფელ ეწერში და მკვიდრი პოზიცია უჭირავს რაიმე განკარგულების მოლოდინში, პოზიციის შტაბი სოფელ ახალსოფელშია, რომელიც თითქმის სულ გახიზნულია. დარჩენილან მხოლოდ ზოგიერთნი, რომელთაც ცოლშვილი სხვაგან დაუბინავებიათ და თვითონაც მზად არიან გასაქცევად. ამ სოფელში, როგორც ყველა იმ სოფელში, სადაც გავლა მოგვიხდა, წყარო არ არის; არის მხოლოდ ჭები.

როგორც ვწერდი, ჯუმათში წინა დღით ხალხს კრება ჰქონდა იმის თაობაზე, ღირს თუ არა სამშობლოს დაცვაო. როგორც ახლა გავიგეთ, ხალხს საჭიროდ უცვნია ომში წასვლა და მართლაც გამოურჩევია თავიანთს შორის ახალგაზრდები, მაგრამ ესენი პოზიციის ნაცვლად ლანჩხუთში წასულან, სამხედრო უფროსთან უნდა გამოვცხადდეთო. ამით რა საკვირველია, სურთ დრო მოიგონ და როგორმე აიცდინონ ომში წასვლა.

ამ დღეს სხვა არაფერი არ არის მნიშვნელოვანი გარდა იმისა, რომ შეშინებული მცხოვრებნი გამორბიან ოზურგეთის მხრიდან და თავიანთს უბედურობას მოსთქვამენ.

12 აპრილი.

წვიმს. წინა ღამითაც წვიმდა. ეს ვერ მოქმედებს ცუდად ჩვენს რაზმელებზე და ერთგულად სდარაჯობენ პოზიციას. რამდენიმე რაზმელი გაცივდა და წევს. რაზმის უფროსი ი. გედევანიშვილი ხან შტაბშია და ხან პოზიციაზე. იგი შორიდან როდი უყურებს საქმეს. თვით არის ჩაბმული საქმეში და აქტიურად მოქმედებს. 10 აპრილსაც, როდესაც ჩვენებმა ოსმალებს შეუტიეს, ი. გედევანიშვილი სულ პირველ რიგში იდგა და მაგალითს უჩვენებდა სხვებს.

საჭმლის უშოვნელობა საქმეს აჭირვებს.

ოსმალელი ყაჩაღები აქა-იქ სოფლოებს თავს ესხმიან და ხალხს სძარცვავენ.

დღეს კიდევ მოგვემატნენ ამხანაგები და პოზიციაზე დადგნენ.

ჩვენი რაზმელები ყოველ მხრივ სცდილობენ, რომ ინტელიგენტ ამხანაგებს შრომა შეუმსუბუქონ და ძალიან ჯავრობენ, როდესაც ეს უკანასკნელნი საშიშ საქმეზე მიდიან. საერთოდ ყველა იმას ცდილობს, რომ საშიში საქმე თვით იკისროს. ამ ნიადაგზე დისციპლინის დარღვევაც კი მოხდა. რაზმელნი მოწყენილნი არიან, რომ ომი შესწყდა და ხელებ დაკრეფილნი სხედან წყლით ამოვსებულ თხრილებში.

გურიის სოფლებში კიდევ ნუგეშობენ თავს იმით, რომ ოსმალოები ჩვენებს კარგად ექცევიანო. მე თვით ვნახე ჯუმათში ერთი ოზურგეთელი მღვდელი, რომელიც ოზურგეთიდან წამოსულიყო ოსმალოების ნებართვით. იგი საეჭვოდ იცნეს დააპატიმრეს. იგი ამშვიდებდა ხალხს, თათრები კარგად იქცევიან, არას გვიშავებენო, ნეტავი ჩვენ ისე უფრთხილდებოდეთ ჩვენს ქონებას, როგორც ისინი უფრთხილდებიანო.

— მაშ რას ვეომებით თათრებს თუ კი ასეა, მოვიდნენო, იძახის ვიღაცა და ამას სხვებიც ეთანხმებიან.

რ. ბ—ლი.

ბრძოლაში

8 აპრილი.

მთელი ღამე განუწყვეტელი სროლა იყო... მდინარე ჩოლოქის პირის რკინის გზას გასწვრივ, სადაც გათხრილია მტრის სანგრები—განუწყვეტლივ ისროდნენ ოსმალოები. ეტყობა ამ ღამით ჩოლოქის გამოღმა გამოსვლას ცდილობენ...

მაგრამ ჩვენები—რომელთა სანგრები გამოღმა ნაპირზეა გათხრილი—თვალყურს ადევნებენ მათ ყოველივე მოქმედებას და სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ.

მშვენიერი ღამეა. მთვარის ნაზი შუქი ვერცხლის ლეჩაქად ეფინება ამწვანებულ ველებს და მთებს, რომლის კალთები დაფენილია მრავალფეროვან ყვავილებით.. თვალზე ცრემლები გადგება როდესაც უცქერი ამ უხვი სილამაზით ალიავსე ბუნებას, რომლის კიკლუც კიდლებს შეუბრალებლად ანადგურებს თოფ-ზარბაზნები..

ვინ მისცა იმის უფლება ადამიანს—სწვას და ანადგუროს ის, რაც მის ცოდვილ ხელს არ შეუქნია...

ცეცხლი!!! ცეცხლი!!! белый огонь“ ისმის კომანდირის ბრძანება.

ჩვენი მშვენივრ ზარბაზნების ლულები—ღამითაც არა სცხრებიან და ქარიშხლისებურ ცეცხლს აფრქვევენ მტრის სანგრებში.

ჩვენი ქვეითა ჯარიც—ცეცხლით გამხნევებული უფრო—სასტიკად და მედგრად ებრძვის მტერს.

ჩვენი ბატარეის კამანდირი განუწყვეტლივ იძლევა ბრძანებას: „шрапнелю левее 0,20, прицелъ „85“ трубка 83“.. „готово!“ ისმის ფეიერვერკების ხმა. რომლებსაც მოჰყვება ზარბაზნის საშინელი ჭექა გრგვინვა...

ჩვენი ახალგაზრდა არტილერისტები შეუდარებელი სიმამაცით და ერთგულობით ასრულებენ ყოველ ბრძანებას.

მთვარის ნაზს შუქს—დღის სინათლე ეპარებოდა—როდესაც მტრის სანგრებისკენ გასწია ჩვენმა ჯავშნოსანმა მატარებელმა ბ. გ—ძის—უფროსობით. ჯავშნოსანის მისვლისას საშინელი სროლა ატყდა ზარბაზნებისა და ტყვიის-მფრქვეველებისა რასაც ზედ ერთოდა დაუსრულებელი თოფის გრიალი..,

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ შეგვატყობინეს რომ ჯავშნოსანი შეიჭრა რკინის გზით მტრის სანგრების იქით და ერთი ვაგონი გადავარდა და ჩვენი ჯარიც იერიშზე გადავიდაო.

ამის გაგებისთანავე ჩვენმა არტილერიამ გაუჩინა ხშირი ცეცხლი მტრის სანგრებს... რადგან ტელეფონი გაწყდა ჩვენს სანგრებსა და ბატარეის შორის სროლაც შეუძლებელი შეიქმნა.

მაშინ მე და ამხ. ძ—ვა გაგვგზავნეს ჩვენ სანგრებში ცნობის მისატანად. ბატარეია დაშორებულია სანგრებზე დაახლოებით 3 ნახ. ვერსით. როდესაც ჩოლოქთან მივედით ჩვენ სანგრებში—ოსმალოები განდევნილნი იყვნენ, მხოლოდ აქა-იქ ისმოდა თოფის ხმა იერიშის დროს და ბევრი ოსმალო დახოცეს და დასჭრეს—იქვე მოვკრიფეთ მტრის რამდენიმე თოფი და ტყვიის მფრქვეველი. ოსმალოების განდევნის შემდეგ ამოღებულ იქნა ჯავშნიან მატარებლის ვაგონი. დიდი გამოცდილი და შეუდარებელი მებრძოლი და გმირები ყოფილან ბ. გ—ძე და მისი კომანდა. რომელთა თავგანწირულმა ბრძოლამ სასურველი ნაყოფიც გამოიღო.

8 აპრილის ბრძოლაში ჩვენ მხრივ ძალიან ცოტა მსხვერპლი იყო.

ჯარის-კაცები ენტუზიაზმით აღვსილნი, ერთი მეორეს უზიარებდნენ დღევანდელი შეტევის შთაბეჭდილებებს.

9 აპრილი.

მშვენიერი დილაა... ცხოველი მზის სხივები ყვითლად ავარაყებს არე-მარეს და ოქროსფერ მძივებს აფრქვევს ამწვანებულ ველ-მიდამოს.

კარავში ვწევარ. მიწა რომელზედაც ვწევარ ძლიერ ნესტიანია...

ვფიქრობ გუშინდელ ბრძოლაზე.

მომაგონდა გუშინ ბრძოლაში დაჭრილი ერთი ჯარის-კაცი რომელმაც მთხოვა—სანგრებიდან მახლობელ შესახვევ პუნქტებამდე მიყვანა. რაიც მაშინვე შევასრულე.

ეგ ერთი—იყო რომელსაც შემთხვევით წავაწყდი—მაგრამ ვინ იცის რამდენი ამისთანა ერთი და ორი ეგდება დაჭრილი უპატრონოთ... და წამყვანი და წყლულის შემხვევი კი არავინ იქნება...

ამ ფიქრებში ვიყავ გართული, რომ ვიღაცამ დაიყვირა ადექით დროა, ცხენებს თივა დაუყარეთ! წყალი დაალევინეთ!..

მეც ზეზე წამოვდექი.

დღეს შედარებით სიწყნარეა. თოფის და ზარბაზნის სროლა ძლიერ იშვიათად იყო. მგონი გუშინდელმა შეტევამ ოსმალოებს ცოტათი გზა-კვალი დაუკარგა.

დღის 3 საათი იქნებოდა, რომ ჩვენი ბატარეის 1 ლმა ვზვოდმა ბრძანება მიიღო № ფრონტისკენ წასულიყო. ერთი საათის შემდეგ ყველანი მზად ვიყავით. სრულ 5 საათზე ჩვენი ვზვოდის უფროსით ბ ნ კაპიტან ლ. ქ—ძის მეთაურობით გავემგზავრეთ ნაბრძანებ ადგილისაკენ. ჩვენ თან მიგვყვებოდა რამდენიმე ალეული ჯარის-კაცი და ც—ს ბატარეის ერთი ვზვოდი.

ყველა მხიარულად და ცქვიტად მიდის. რამდენიმე ვერსის გავლის შემდეგ ჩვენ მოგვესმა ძლიერი სროლა ტყვიის მფრქვეველებისა და თოფებისა.

გზაში შემოხვედრილმა გურულმა სოფლელმა გვითხრა ეგ სროლა სოფელ ვაშლნარის ხიდთან არისო, თათრები ხიდზე გამოსვლას ცდილობენ, მაგრამ ჩვენ მათ არ ვუშვებთო. ხიდამდის კიდევ 5—6 ვერსი იქნებოდა. ჩვენ ისევ წინ გავსწიეთ, კიდეც შემდეგ რომ მივაწიეთ პატარა სოფ. [illegible] იქ

დაგვხდა რამდენიმე შეიარაღებული გურჯული და გადმოგვცა ცნობები მდგომარეობის შესახებ.

შემაძრწუნებელ სურათს წარმოადგენდა იქ მყოფი გურჯულების ბედი. ყველა გვემუდარებოდა—გვიშველეთ, ნუ შემოუშვებთ ამ ურჯულოს ჩვენს ქვეყანაშიო. ჩვენ კი ყველაფრით დაგეხმარებით, რაითაც კი შეგვიძლია. ჩვენს მარჩენალ ხარებს და ძროხებს დავკლავთ ჰადს გამოგიცხობთ. ვისაც იარაღით გამოსვლა შეგვიძლია: მზათა ვართ ერთი სიტყვით ყოველ მხრივ დაგეხმარებითო. სოფ. მერიდგან ჩვენ გავსწიეთ წინ და დავბინავდით ერთ დიდ მინდორზე. ჩვენი ვზვოდის კომანდირი ბატალიონის უფროსთან ერთად წავიდა ჩვენი ბატარეისთვის შესაფერ პოზიციის მოსანახავად, ჩვენთან დარჩა პორუჩიკი ჩ—ძე. ქვეითა ჯარი იმ ღამითვე წავიდა და დაიჭირა პოზიცია სოფ. ვაშლანართან ხიდს გაღმა ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, რომ გვიბრძანა ჩვენმა კაპიტანმა ადგილიდან მოვხსნილიყავით და დაგვეჭირა არჩეული პოზიცია.

10 აპრილი.

საამური დილა არის. ნისლით დაფენილი ველ-მიდამოები თან და თან იწმინდება და თვალ-წინ გეშლება მომხიბლავი ბუნება. ნატანების წყლის ხეობა ვარდ-ყვავილებით შემოსილი, მის გარშემო ამართული მთა-გორაკები ამწვანებულ ტყეებით და ბუჩქებით დაფარული.

ჩვენც ერთ პატარა გორაზე დავბანაკდით. ზარბაზნებიც თავთავიანთ ადგილებზე დავაყენეთ. ტელეფონიც გაბმულია, უცდით ბრძანებას და აი საცაა დაიგრიალებს და ცეცხლს დააფრქვევენ ჩვენი ზარბაზნის ლულები.

დილის ცხრა საათი იქნებოდა, რომ გაჩაღდა ძლიერი სროლა ტყვიის მფრქვეველებისა და თოფებისა. მთელი მიდამო ახმაურდა, ამოძრავდა, ჩვენი ფრონტი 6—7 ვერსის მანძილზეა გამართული.

ჩვენმა ქვეითა ჯარმა შეუტია.

ზარბაზნებმაც დაიგრიალა.

ატყდა საშინელი სროლა. ჩვენი ზარბაზნების გასროლას მოჰყვა ოსმალების ზარბაზნები და გაიმართა საარტილერიო ბრძოლაც.

მტერმა მიზანში ამოიღო ჩვენი ბატარეია და განუწყვეტლივ გვესროდა ყუმბარებს.

მათმა არტილერიამ ჩვენ მაინც ვერ მოგვაგნო, მათი ყუმბარები ჩვენს თავზე გადადიოდა. ერთი ყუმბარა ჩვენი „ობოზის" ახლოს გასკდა და მოგვიკლა ერთი ცხენი.

ყველანი ისე შევეჩვიეთ ტყვიების და ზარბაზნის ყუმბარების ზუზუნსა რომ ყურადღებას არ ვაქცევთ.

რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ კომანდირმა მიბრძანა მივსულიყავ სანგრებში და ქვეითა ჯარის კომანდირი პოლკოვნიკი ა—ძე მომენახა.

ავიღე ჩემი თოფი—მოვიმზადე პატრონები და გავსწიე სანგრებისკენ. ტყვიის-მფრქვეველების და თოფების სროლას დასასრული არა ჰქონდა. პირველ-ხანობით მივდიოდი ტყით დაფარულ გორაკის ბილიკზე. სანგრები გათხრილი იყო აქა იქ ბუჩქებით დაფარულ ადგილზე. ამ ბილიკს რომ გავცილდი, დავეშვი მინდორზე, და მიწაზე ხოხვით მივაღწიე ჩვენ სანგრებს.

პოლკოვნიკი მაშინვე ვიპოვე და გადავეცი ყოველივე.

საღამოს 6 საათზე სროლაც შეწყდა...

საღამოს როგორც კაპიტანმა გვამცნო, ჩვენ უფროსს წინადადება მოსვლოდა სომარი მოქმედება შეეწყვიტა და ჩამოეგდოთ დროებითი ზავი, იმ საღამოთ გაგზავნილ იქმნენ ოსმალოებთან პარლამენტიორები.

შ. ჰადაპკორია.

ახალქალაქის ამბები

ტფილისი, 16 აპრილი. „ანდონსანი". ამიერკავკასიის მთავრობამ შემდეგი დეპეშა მიიღო: 9 აპრილს სოფ. საროსთან (ახალქალაქის მაზრა) მუსულმანებმა გადასცეს მაზრის მცხოვრებთა წარმომადგენლებს არტაანიდან მოყვანილი სომხები არდაანის, არტანუჯისა და ოლთისის რაიონებისა, რიცხვით 1500. მუსულმანების მოთხოვნით მათ მისცეს სამი სოფლის მუსულმანები: კოკიის, კარევანის და თოკის. სომეხ —ტყვეები საზარელ სურათს წარმოადგენდნენ: ყველანი ძონძებში, ფეხშიშველნი; სახე მოქანცული, ავადმყოფი და მშიერი; აუტანელი იყო ტყვეების კვნესა-ტირილი. სამი კვირა ერეკებოდნენ ტყვეებს არტაანიდან საზინელი გზით. გზაში მრავალი მოკვდა; ყველა ტყვე უკანასკნელ ნივთამდე გაძარცულია. თუ კი რამ აცვიათ ტყვეებს, ეს ყველაფერი მოლოკნებმა მისცეს. მამაკაცები ყველანი მოკლული არიან; ახალგაზრდა ქალები დატაცებული. დანარჩენ ხანში შესულ ქალებიდან მრავალი გაუპატიურებულია, როდესაც სოფ. საროში ერთმა გლეხმა ერთი ტომარა პური აჩვენა ტყვეებს, ისინი მისცვივდნენ ტომარას და კბილებით და ხელებით დაუწყეს ხევა. ერთი დღის დასვენების შემდეგ ტყვეებს ქალაქში გადაიყვანენ. გზაში ყოველდღე კვდება რამდენიმე კაცი.

ახალქალაქის სომეხ. ერ. საბჭოს რწმუნებულები: **მარქარიანი, მარაბლიანი, მეცატინიანი.**

უკულტურობის ნიშნები

დღიდან რევოლიუციის გამოცხადებისა, სამწუხაროდ ჩვენს ქვეყანაში უპასუხისმგებლო ვაჟბატონების თარეშს, მათ შეუწყნარებელ უკულტურო საქციელს თითქმის სისტემატიურად, განუწყვეტლივ ჰქონდა გასავალი! ეს ვაჟბატონები რომელიმე გავლენიან პარტიის ქვეშ აფარებდენ თავს—და, ამა თუ იმ პარტიის სახელით საკუთარს დემაგოგიურსა და პროვოკატორულ მიზნებს ანხორციელებდნენ. ყველაზე უფრო ამ რეაქციონურ ელემენტებს ჩვენი პარტიის წინააღმდეგ მოუტანიათ იერიშები. იობისებური მოთმინება გამოიჩინა ჩვენმა პარტიის თითოეულმა წევრმა ამ შემთხვევაში! მაგრამ მოთმინებასაც თავისი საზღვრები აქვს. ჩვენამდი აღწევს ცნობა, ისეთი სამარცხვინო უკულტურობისა, რომელსაც არ შეგვიძლია არ მივაქციოთ მკითხველის ყურადღება: ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე ვადით გამოიწერა სოფელ სეფიეთის*) იბლიოთეკამ გაზეთები: „ერთობა" და „სახალხო საქმე".

გამოწერის შემდეგ, რამოდენიმე დღის განმავლობაში მდიოდა ორივე გაზეთი სეფიეთის სამკითხველოში დანიშნულებისამებრ. მაგრამ რამოდენიმე დღის შემდეგ „სახალხო საქმე" არსად სჩანს, მაშინ, როდესაც „ერთობას" ღებულობს იგივე ბიბლიოთეკა. და ეს ხდება იმ დროს, როდესაც გაზ. „სახალხო საქმის" კანტორა განუწყვეტლივ აგზავნის თავის გაზეთს, სწორეთ ისე, როგორც გაზეთ „ერთობისა". და თუ ფოჩტას აბაშამდი გაზ. „ერთობის" ჩატანა არ უშლის, ცხადია არც „სახალხო საქმის" მიტანაც დაუშლიდებოდა. ჩვენმა პარტიის ქუთათურმა ორგანომ, „ხალხის მეგობარმაც" ერთხელ კიდევაც მიაქცია მკითხველთა ყურადღება ამის მსგავს სამარცხვინო მოვლენას, რომელიც შეიძლება ხდებოდეს მხოლოდ ისეთ ქვეყანაში სადაც განათლებისა და უბრალო მოქალაქეობრივი გრძნობის სინათლე მიმქრალია.

ჩვენი გაზეთები დანიშნულ ადგილს ვერ აღწევენ, მაშინ, როდესაც მენშევიკების ერთი ნომერიც არსად იკარგება—და, სიმპტომატიურია ის, რომ ამ სამწუხარო მოვლენას ჩვენ ვამჩნევთ განსაკუთრებით ომის შემდეგ, რაც საქართველოს პროვინციებში გაბატონდენ მენშევიკები. ამით ჩვენ არ გვსურს არავის შეურაცყოფა მივაყენოთ, მაგრამ არც იმის დამალვა შეგვიძლიან, რასაც ვამჩნევთ და რაც ჩირქსა სცხებს თვით მენშევიკებს, რადგანაც ეს უკულტურო სამარცხვინო მოვლენა ხდება მათ მეფობისა და ბატონობის დროს. ამ წერილის გადაკითხვის უმალვე საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის აბაშის ორგანიზაცია ვალდებულია ადგილობრივ ფოსტაში გაიგოს და გამოარკვიოს, სისტემატიურად ღებულობდენ და ღებულობენ თუ არა იქ გაზეთ „სახალხო საქმეს" სოფელ სეფიეთის სამკითხველოს მისამართზე—და თუ ღებულობენ სეფიეთში რათ არ აგზავნიან?!

სოფელ სეფიეთის მდაბიო ხალხს აკვირვებს ეს მოვლენა და ამბობს: ერთ ა და იგივე ვადით, ერთსა და იგივე დღეს გამოვიწერეთ ორი გაზეთი: „ერთობა" და „სახალხო საქმე". „ერთობა" მოგვდის, „სახალხო საქმეს" არ ვღებულობთ; აქ რაღაც ეშმაკობაა, მახეს გვიგებენ მენშევიკები და ამიტომაც აგვიცრუვდა მენშევიკობაზე გული". ამგვარი თავისებური მსჯელობა და მდაბიო, ადვილად გასაგები ჩივილი შეიძლება სამართლიანიც იყოს.

ჩვენ ვიცით, რომ აბაშის რაიონის თხრილები ზოგიერთ მეგაზეთეებს ჩვენი გაზეთების დახეულ დაფლეთილი ფურცლებით მოუფენიათ, იმის მაგვრათ რომ ხალხში გაევრცელებიათ, ხალხისთვის სულიერი საზრდო მიეწოდებიათ, რაც თავის დროზე ჩვენმა ქუთათურმა გაზეთ „ხალხის მეგობარმა" აღნიშნა.

დეე ამ გვარ სამარცხვინო უკულტურო მოვლენას დღეიდანაც ნუ მიაქცევს საქართველოს პროვინციებისა და განსაკუთრებით კი აბაშის ხამდვილი მენშევიკები ყურადღებას—და ნუ შეებრძოლება ამ სიმახინჯეს ჩვენი ლუხპირი ცხოვრებისას, თუ კი ეს მათ პოლიტიკურ სინიდისს ჩირქს არ მოსცხებს და არ შეაწუხებს.

ცუღუ თოფურიძე.

---

*) სამეგრელოს სოფელია, აბაშის რაიონში.

ომი და მობილიზაცია

(ხმა კახეთიდან)

არაფერზე არ მინდა წერა და ფიქრი, როცა ჩვენ ტურფა საქართველოს კარს უხეში ძალა შეეხო, როცა სამშობლო მხარე ყოფნა არ ყოფნის წუთებს განიცდის და ტლანქი მხედარი აწეულია მოპოვებულ [illegible] თავისუფლების მოსპობით, იმ თავისუფლებისა, რომლის ტკბილი ნაყოფი არც კი უგემია ქართველ მშრომელ ხალხს, ვინაიდან ჯერ ისევ ყველა მის მტკივნეულობის პროცესს განიცდის...

დიახ, დღეს, როცა სამშობლო განსაცდელშია ქართველ ერის გონება და აზრი მის დაცვის, ომის და მობილიზაციის გარშემო უნდა ტრიალებდეს. უნდა გაიღვიძოს იმ ეროვნულმა გრძნობამ და სამშობლოსადმი თავდადებამ, რომელიც ყველა ქართველის სისხლში იჩქეფდა.

უნდა ყველა ქართველი მტკიცედ დაიდოს საქართველოს, რომ მათ აასრულოს თავისი მშობლის ანდერძი.

ასე იყო წინად მაგრამ ეხლა 117 წლის დამონავებამ თურმე ვერ ჩააქრო ქართველ ხალხში სამშობლოს სიყვარული და ეროვნული გრძნობა და 1914 წელს რომ ომი გამოცხადდა, ყველა ქართველი ისე წავიდა ბრძოლის ველზე, როგორც ერთი კაცი, ალბად იმ რწმენით და იმედით, რომ საერთაშორისო ბრძოლის გრიგალზე გამოიჭედებოდა ისეთი პატარა ერების ბედნიერება, როგორც საქართველოა, ხოლო კახეთ-ქიზიყიდან ისეთებიც-კი წავიდნენ, რომლებსაც არ იწვევდნენ, ისე რომ სამხედრო უწყება იძულებული იყო ისევ შინ დაებრუნებინა ისინი. ასეთი ხალისით წავიდა ხალხი, მაგრამ იმედი არ გამართლდა, ომი მეტად გაგრძელდა, ხალხი მოიქანცა, და თუ საბედნიეროდ რევოლიუცია დაიწყო, საუბედუროდ მან ზედ ბოლშევიზმიც დაერთო...

3—4 წლის ომის ქარტეხილში გამოვლილი ქართველი ხალხი დაბრუნდა შინ და სწორედ მაშინ, როცა მშრომელ ხალხს უნდა ესარგებლა რევოლიუციის მონაპოვარით. ამიერკავკასიამ უკვე გამოაცხადა დამოუკიდებლობა და საქართველოც უნდა შეუდგეს თავისი ეროვნული მისწრაფების განხორციელებას, და აი ამ დროს, გარეშე მტერი მოსდგომია პირებს სამშობლოს გულის გაპობასთან ერთად თავისუფლების მოსპობასაც.

რასაკვირველია: ამას ქართველი ხალხი ჯეროვან პასუხს გაუწევს და უწევს-კიდეც და ამისთვის მთელი დასავლეთი საქართველო ფეხზეა დამდგარი, მხოლოდ რაც შეეხება კერძოდ კახეთს, უნდა ვთქვათ, რომ არ ჩამორჩებიან თავიანთ მოძმეებს და თუ 1914 წელს უაზროდ მიდიოდნენ შორს კარპატის ყინულიან მთებში და მაზურის გაყინულ ტბებში მთელი კვირაობით იდგნენ თოვლ-ყინულში, ეხლა კახელი ხალხით უნდა წავიდეს და წავა-კიდეც თავის ტურფა სამშობლოს დასაცავად...

ეხლა დაგვიდგა საბედისწერო დღეები და ყველას ღვთაებრივ მოვალეობას შეადგენს დაიცვას ახალი სახელმწიფო და თავისი სამშობლო ქვეყანა გარეშე-მტრისაგან.

უნდა ყველამ იცოდეს, რომ თუ მტერი შემოიჭრა საქართველოში, მაშინ ჩვენ მარჩენალ მიწა-წყლის დაპატრონებასთან ერთად ფეხქვეშ გათელება უკვე მოპოვებული თავისუფლებაც.

დიახ, სამშობლო განსაცდელშია და ყველა მობილიზაციით გაწვეული, მოვალეა ჯარში გაეჩქაროს, ხოლო შინ დარჩენილთ უნდა ზურგი გაუმაგრონ, როგორც მათი ოჯახების უზრუნველყოფით, ისე სოფლის ჭირნახულის დამუშავებით...

დაგიწყებული.

შეკითხვა გორის ქალაქის გამგეობას

იანვარ-თებერვალში ჩემი წერილები ისტამბებოდა გორიდან „ნათელის" ფსევდონიმით. უკანასკნელ წერილში სხვათა შორის მოხსენებული იყო სახლის პატრონების თვითნებობა და გაუმაძღრობა. სახლის ქირის ერთი ორად და სამად უმატებდნენ და თავისზე შეწერილ ხარჯს მდგმურებს ახდევინებდნენ. ერთ სახლის პატრონს ერთი ლატაკი დედაკაცისთვის, რომელსაც დღიური ლუკმა არ გააჩნია, ქუჩაში გადმოუყრია ბარგი, რადგან მან 5 მანეთის მაგიერ თუმანი არ გაუხადა ერთ ნოტიო, პაწაწკინტელა ოთახში. მივაქცევდი ამ გარემოებას ქალაქის გამგეობის ყურადღებას, რათა სახლის პატრონების გაუმაძღრობის წყალობით რაიმე ექსცესებს ადგილი არა ჰქონდა. ქალაქის გამგეობას ჩემი წერილი შეურაცხყოფად მიუღია და პროვოკაციად ჩემის მხრივ და ერთ საღამოს სხდომა თითქმის ჩემ შესახებ კამათსა და დავიდარაბაში გაუტარებია და დაუდგენია პრესაში პროტესტი განაცხადოს „ნათელის" „პროვოკაციულ" წერილების გამო. სამწუხაროდ მე იმჟამად მძიმედ ვიყავი ავად და შეძლება არა მქონდა პრესისათვის თვალყური მედევნებინა. დღესაც არ ვიცი სისრულეში მოიყვანა თუ არა გამგეობამ თავისი დადგენილება. სახლის პატრონების მადა კი ამ ხანში კვლავ ერთი ორად და სამად გაიზარდა და უპატრონო მდგმურთ სამპირ ტყავს აძრობენ ისევ ვეკითხები „შეურაცხყოფილ" ქალაქის გამგეობას—იცის თუ არა მან, რომ წითელ გვარდიისაგან შეწერილი გადასახადი სახლის პატრონებმა მდგმურების კისრიდან ერთი-ოთხად ამოიღეს? ან რამდენი პროც. მომატების უფლება აქვს სახლის პატრონს? გვიპასუხეთ და მერმე ვიმსჯელოთ იმაზე, ვინ ეკიდება მდაბიო ხალხის ინტერესს ზერე-ქვერულად და ვინ არის ხალხის ჭეშმარიტი გულშემატკივარი.

ხანგანიძე.

სესხი ქალაქის თვითმართველობას

ტფილისი, 14 აპრილი. (ანდონსანი) ოფიციალური. კანონი ერთ-მილიონიანი უსარგებლო სესხის მიცემის შესახებ ქალაქის თვითმართველობისათვის ტეხნიკური საჭიროებისათვის:

1) მიეცეს სესხად ტფილისის ქალაქის თვითმართველობას სახელმწიფო ხაზინის თანხიდან უსარგებლოდ ერთი მილიონი (1.000.000) მანეთი ქალაქის წყალსადენის მესამე მაგისტრალის გასაყვანად

2) წინა მუხლში აღნიშნული სესხი ტფილისის ქალაქის თვითმართველობამ უნდა დაუბრუნოს სახელმწიფო ხაზინას ექვსი თვის შემდეგ, ვიდრე სახაზინო ხელშეკრულება საბოლოოდ დამტკიცდებოდეს ან ტფილისის ქალაქის თვითმართველობა სესხს აიღებდა, თუ ეს აღნიშნულ ვადამდე მოხდება.

კანონი ორ მილიონიანი სესხის მიცემის შესახებ ქალაქის თვითმართველობის სასურსათო საჭიროებისათვის:

1) მიეცეს სესხად ტფილისის ქალაქის თვითმართველობას სახელმწიფო ხაზინის თანხიდან უსარგებლოდ ორი მილიონი (2.000 000) მანეთი მიმდინარე წლის სასურსათო კამპანიის წარმოების ზარალის ასანაზღაურებლად.

2) წინა მუხლში აღნიშნული სესხი ტფილისის ქალაქის თვითმართველობამ უნდა დაუბრუნოს სახელმწიფო ხაზინას ნაწილ-ნაწილ სამი წლის განმავლობაში 1918 წლის სასურსათო კომპანიის შემდეგ.

წერილი რედაქციის მიმართ

მოწყალეო ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენ გაზეთში შემდეგი: ჯარის კაცი ფეხოსნის პარტიზანული რაზმისა, [illegible] იყო ბათომის 329 № ლაზარეთში, რომლის შესახებ რა რომ ბათომიდან ავადმყოფები გადაიყვანეს, არაფერი არ ვიცით. ამხანაგებს და ნაცნობებს ვთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის გვაცნობოს შემდეგი მისამართით: ჭიათურა. ნინო გოგოიშვილს.

შემოწირულება

ქართული უნივერსიტეტის სახარგებლოდ მიღებული:

1. ბ. ადამ ივანეს ძე ფურაქაშვილმა შემოსწირა განსვენებულ დ. ზ. სარაჯიშვილის ქვრივისა წიგნთსაცავი და ეგრეთვე შკაფები ამ წიგნთ-საცავისთვის.
2. მაღლაკის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისაგან თხუთმეტი თუმანი (150 მ.)
3. ქუთაისის პირველ ქართულ გიმნაზიის მოწაფეთა შორის მოწ. ა. ბრეგაძის თაოსნობით შეგროვილი სამი თუმანი.
4. ტაშკენტის ქართველთა საზოგადოებისაგან (გამოგზავნა გამგეობის წევრმა გ. საყვარელიძემ) ასი თუმანი.
5. ჩხოკვაძისგან ექვსის სამოცდა ცხრა მანეთი და ათი შაური.
6. მოლითის საკრედიტო ამხანაგობისაგან თხუთმეტი თუმანი.
7. კლავდია ლუტსაუსის ასულის გაბუნიასაგან განსვ. ნიდელდა სახოკიას ხსოვნის აღსანიშნავად ოცი მანეთი.
8. ქ-ნ ბარბარე ყიფიანისაგან საკუთარი და მისი ნაწარმოების შესახებ კრიტიკული ნაწარმოები 28 წიგნი და ჟურნალი ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, ესპანურ, ესპერანტოზე და ქართულ ენაზე.

ქართული უნივერსიტეტის გამგეობა უღრმეს მადლობას მოახსენებს შემომწირველთ.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა, იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ბინა. 1002

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2180

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე; ვერის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
ი. ლ. შალამბერიძე
იღებს სამეანო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
ბ. ჩ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფებს საღამოს 6—8 ს. ყოველ დღე კვირის დღის გარდა. მისამართი: [illegible] ქ. № 67, [illegible] 1030

ქ. კაჭკაჭში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოს.
სლეპცოვის და მუშტაიდის ქუჩების კიდე, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდი, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილ 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი
გ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა, გულისა, ფილტვის და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩ. № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „მოსკოვის" პირდაპირ. 1029

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, კუჭებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი [illegible] ქ. № 11. 426

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდო და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ი. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის ხაქიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს.-დე. ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (კიდურ. ავადმ.)
ვ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. გ. აგაბაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმ.
პეტრიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
მ. ვ. ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და სამეანო ავადმყ.
მ. მ. ზენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი,
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

ახალი წიგნი
გრიგოლ ვეშაპელი
საქართველო და რუსეთი
(ოფიციალურ პოლიტიკა)
საქართველოს ისტორიული საზღვრების რუკით.
ფასი 1 მანეთი და 50 კაპ.
წიგნი იყიდება: „წერა-კითხვის" და კერძოდ „ნოვაია რეჩის" წიგნის მაღაზიაში.

სტამბა „სახალხო საქმე", [illegible] ქუჩა № 14